მრავალფეროვნება და სოციალური ინკლუზია

ადრეულ ასაკში განვითარებისა და ზრუნვის პროფესიულ პრაქტიკაში არსებული კომპეტენციების შესწავლა

ყველა ბავშვსა და უფროსს უფლება აქვს განვითარდეს ისეთ თანასწორ გარემოში, სადაც მრავალფეროვნებას პატივისცემით ეპყრობიან

კვლევა განხორციელდა და შემუშავდა DECET/ISSA-ს წევრებისგან შემდგარი „პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის“ მიერ

DECET ქსელი (“მრავალფეროვნება ადრეული ასაკის განათლებასა და ტრენინგში”) ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, ირლანდიაში, ნიდერლანდებში, ინგლისში, შოტლანდიასა და ესპანეთში ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის საკითხებზე მომუშავე ევროპული ორგანიზაციების ქსელია.

DECET ქსელის წევრებს ადრეულ ასაკში განათლებასა და ტრენინგში მრავალფეროვნების დაფასების ხელშეწყობის საერთო მიზანი აკავშირებთ. ისინი ცდილობენ ხელი შეუწყონ ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის დემოკრატიულობის პრინციპის დანერგვასა და შესწავლას ბავშვებისა და მათი ოჯახების მრავალფეროვანი (კულტურული და სხვა) იდენტობის აღიარების საფუძველზე. DECET ქსელი ადრეულ განვითარებას ისეთ სფეროდ მიიჩნევს, სადაც ადამიანებს ერთმანეთისგან ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ, მათ შორის არსებული კულტურული და სხვა სახის განსხვავებებისა და საზღვრების მიუხედავად, და სადაც წინასწარ ჩანერგილი არასწორი წარმოდგენებისა და დისკრიმინაციის დაძლევის კარგი საშუალებები არსებობს.

DECET ქსელის მიზნებია:

1. ქსელური კავშირების დამყარება ტრენერებს, პრაქტიკოს სპეციალისტებს, მკვლევრებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს შორის, მთელი ევროპის მასშტაბით;
2. ადრეულ ასაკში განათლების ხარისხის გაუმჯობესების აქტიური და კრიტიკული ხელშეწყობა, თანასწორობის, ხელმისაწვდომობის და მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემის ჩათვლით;
3. აღნიშნულ სფეროში ახალი ცოდნის შემენა, მისი არსის ჩაწვდომა და რესურსების განვითარება;
4. ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ სხვა ქსელებთან თანამშრომლობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: www.decet.org

DECET ქსელის წევრებიდან პროფესიული განვითარების ხელშემწყობ „სამუშაო ჯგუფში“ შედიან:

- „Pavee Point Travellers’ Centre“, ირლანდია: *კოლეტ მიურეი;*
- „Mutant“, ნიდერლანდები: *ანა დელ ბარიო საიზი;*
- „Associació de Mestres Rosa Sensat“, ესპანეთი: *ირენ ბალაგუერი;*
- „ESSSE, Ecole Santé Social Sud Est“ („სამხრეთ–აღმოსავლეთის სოციალური მომსახურების სკოლა“), საფრანგეთი: *მირიამ მონი და დონინიკ მალევალი;*
- VBJK, („ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის რესურსებისა და კვლევის ცენტრი“), ბელგია: *ჟან პიტერსი და კატრინ ვან ლაერი.*

DECET ქსელის აფილირებული წევრები:

- „Men In Childcare“, *კენი სპენსი;*
- „University of East London“, ინგლისი: *მატიას ურბანი*

DECET ქსელის მეგობრები

- „Atfale“, მაროკო: *ხალედ ელ ანდალუსი და ლეილა ბენჯელოუნი;*
- „Grupo de Trabajo de Infancia Indígena y Educación“, მექსიკა: *ფერნანდო ვივეროსი.*

ISSA (საერთაშორისო ასოციაცია „ნაბიჯ-ნაბიჯ“) ადრეული განვითარებისა და განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტებს და ორგანიზაციებს აერთიანებს. ასოციაციაში 29 არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან. ესენია: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, საქართველო, ჰაიტი, ყაზახეთი, კოსოვო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდოვა, მონღოლეთი, მონტენეგრო, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ტაჯიკეთი, უკრაინა და უზბეკეთი.

ISSA-ს უმთავრესი მიზანია ინკლუზიური და ხარისხიანი ზრუნვისა და განათლების ხელშეწყობა, რომელიც ყველა ბავშვს საჭირო პირობებს შეუქმნის, გახდეს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრი. ამ მიზნის მიღწევას ISSA შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით ცდილობს: ცნობიერების ამაღლება ხარისხიანი ზრუნვისა და განათლების მნიშვნელობის შესახებ; რესურსების განვითარება; ინფორმაციის გავრცელება; ადვოკატირება; კავშირების გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელშიც ყველა ბავშვის პოტენციალი წარმატებით განვითარდება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: www.issa.nl.

ISSA **წევრებიდან პროფესიული განვითარების ხელშემწყობ „სამუშაო ჯგუფში“ შედიან:**

- ინტერაქტიული პედაგოგიკის CIP-ცენტრი“, სერბეთი: *ზორიკა ტრიკიჩი;*
- ISSA პროგრამების სპეციალისტი, კონსულტანტი *დოუნ ტანკერსლეი.*

დაფინანსების წყარო:
„ბერნარ ვან ლირის ფონდი“, ჰააგა, ნიდერლანდები.
www.bernardvanleer.org

კოორდინატორები
DECET/ISSA-ს „პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფი“: *მირიამ მონი, ჟან პიტერსი.*

ბუკლეტზე მუშაობის კოორდინატორი
კატრინ ვან ლაერი

ავტორები:
ანა დელ ბარიო საიზი, დონინიკ მალევალი, ზორიკა ტრიკიჩი, კატრინ ვან ლაერი, კოლეტ მიურეი, კენი სპენსი , მირიამ მონი, დოუნ ტანკერსლეი, მატიას ურბანი.

რედაქტორები:
კოლეტ მიურეი, სიობან დინანი

დიზაინი და ფორმა
www.la-voila.be

საგანმანათლებლო და ტრენინგის მიზნებისათვის ამ მასალის ასლების გადაღება დასაშვებია სპეციალური ნებართვის გარეშე, იმ პირობით რომ DECET და ISSA მის გამომცემლებად იქნებიან მოხსენიებულნი.

მრავალფეროვნება და სოციალური ინკლუზია
ადრეულ ასაკში განვითარებისა და ზრუნვის პროფესიულ პრაქტიკაში არსებული კომპეტენციების შესწავლა

მადლიერების გამოხატვა

ამ დოკუმენტის შემუშავება შესაძლებელი გახდა „ბერნარ ვან ლირის ფონდის“ გულუხვი დახმარების წყალობით. ეს პროცესი ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. უპირველეს ყოვლისა, გვინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის ყველა სპეციალისტს, რომელმაც თავისი პირადი და პროფესიული შეხედულებები გაგვიზიარა. მათ გარეშე ამ პუბლიკაციის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა.

ბელგია (ფლამანდიური თემი): “*De Palmboom*”, ქალაქი გენტი; „*Elief*“, ანტვერპენი; „*Elmer*“, ბრიუსელი; *Okido Mobiel Stekelbees*, ანტვერპენი; ‘*t Sloeberken*, ქალაქი გენტი; “*CVO VSPW School opleiding Begeleider Kinderopvang*”, ქალაქი გენტი.

საფრანგეთი: “*Centre Communal Action Sociale*”, გრენობლი; ბავშვებზე ზრუნვის საკითხების კოორდინატორი ქალაქ გრენობლში; ბაგა-ბაღების ჯგუფი ლიონიდან: ბაგა “*Ranvier*”, ბაგა “*Saint-Lazare”, “Multi accueil Perrache”, “Crèche associative parentale Kindertreff*”, ლიონი; ბავშვებზე ზრუნვის საკითხების კოორდინატორი ქალაქ ლიონში.

ირლანდია: ვატერლოო, ქალაქი კორკი; „*Little Acorns*“ ბავშვთა ცენტრი, სოფელი მაიო; დუბლინის ტექნოლოგიური ინსტიტუტი *l”Inchicore Service Providers*”, დუბლინი.

სერბეთი: სკოლამდელი დაწესებულება *Rakovica*, ბელგრადი.
„Zvezdara“, ბელგრადი; სკოლამდელი დაწესებულება „*Olga Jovicic Rita Kraljevo*“; სკოლამდელი დაწესებულება „*Djulici*“, ქალაქი ზაზეჩარი.

მექსიკა: “*Melel Xojobal*”, ქალაქი სან კრისტობალ დე ლას კაზას, მექსიკა, melel@prodigy.net.mx; UCIEP, მექსიკა; “*FONI, Centro de apoyo para la educacion y creatividad Calpulli*”, ოქსაკა, მექსიკა.

მაროკო: გულწრფელ მადლობას ვუხდით განათლების დარგის სპეციალისტებს, რომლებმაც მაროკოში პროექტში მონაწილეობა მიიღეს.

ნიდერლანდები: “*Korein Kinderplein*”, ეინდჰოვენი; “*Stichting de Meeuw”*, როტერდამი; *“Kindercentrum Wereldkids”*, დორდრეხტი; “*Peuter Plaza*”, ეინდჰოვენი; “*Stichting Charlois Welzijn*”, როტერდამი; “*Stichting Humanitas Kinderopvang*”, ჰირლენი.

შოტლანდია: „გლიმერტონიოს ბავშვთა და ოჯახების ცენტრი”, ედინბურგი; *„კაცები ბავშვებზე ზრუნვის სფეროში“* („*Men in Childcare*“) ქსელის კურსდამთავრებულნი.

ესპანეთი: გულწრფელ მადლობას ვუხდით განათლების დარგის სპეციალისტებს, რომლებმაც ესპანეთში პროექტში მონაწილეობა მიიღეს.

ინგლისი: *„ჰილფილდის ბავშვთა ცენტრი“,* ქალაქი კონენტრი.

უღრმეს მადლობას ვუხდით ფოტომასალის მომწოდებლებს: *კაროლინ ბუდრის, კენი სპენსს, ანა ვან კოოიჯს, დერეკ სპეიერს* და *ISSA*-ს.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველა ბავშვს, მშობელს და სპეციალისტს, რომელმაც მისი ფოტოების გამოქვეყნების უფლება მოგვცა.

წინასიტყვაობა

ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროს განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელმაც ამ ბოლო პერიოდში ტემპის აკრეფა დაიწყო. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში პროფესიული გაერთიანებები შეიქმნა, სხვა ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ მათი გამოცდილების საფუძველზე ისწავლონ. პროფესიის წინაშე არსებული ამოცანების განსაზღვრისას ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საერთო ღირებულებებზე შეთანხმებაა. როგორია ადრეული განვითარების სფეროში მომუშავე პროფესიონალების თვალთახედვა? რა კომპეტენციები უნდა ჰქონდეთ მათ, რომ ბავშვებთან მუშაობის პროცესში მათზე დაკისრებული მრავალფეროვანი როლების შესრულება შეძლონ? დარგის მონაწილეები ამ საკითხებზე მუდმივად უნდა მსჯელობდნენ, რომ მომავალი გზა დასახონ.

ადრეული განვითარების სფეროში მომუშავე კადრების კვალიფიკაცია და მუშაობის ხარისხი ბევრი ფაქტორით არის განპირობებული, დარგის ყველა მონაწილის კომპეტენტურობის ჩათვლით. ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის ერთ-ერთი საკვანძო კომპეტენცია მრავალფეროვნების, თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის აქტიური ხელშეწყობით, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას გულისხმობს. ამის მიუხედავად, ზოგიერთ ქვეყანაში დიდ პრობლემას წარმოადგენს ადრეული განვითარების დარგის მუშაკების დარწმუნება, რომ მათ სამუშაო პროცესში სოციალური სამართლიანობა უნდა დაიცვან, რადგანაც ისინი თავად განიცდიან უთანასწორობას თავის პროფესიაში. ყველა ბავშვის, ოჯახისა და თემისთვის სოციალური სამართლის უზრუნველყოფის ფართომასშტაბიან პროცესს თან უნდა სდევდეს ამ პროფესიის უწყვეტი განვითარება.

ეს პუბლიკაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ კომპეტენციების განსასაზღვრად, რომლებიც მრავალფეროვნებისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისთვის არის საჭირო და ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროში მომუშავე პროფესიონალებს უნდა გააჩნდეთ. სიტუაციის ასახსნელად საუკეთესოა პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითები. ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროს მუშაკები მზად არიან პროფესიული ზრდისათვის და ბავშვებთან და მათ ოჯახებთან ერთად სწავლის სურვილი აქვთ. ეს კომპეტენციები გამოწვევას უქმნიან დარგის სპეციალისტებს, რათა გააანალიზონ პირადი და კოლექტიური ფასეულობები და ცნონ მრავალფეროვნებისადმი კომპლექსური მიდგომა და სოციალური ინკლუზია.

ევროპაში ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სექტორის მნიშვნელობის გაცნობიერების კვალდაკვალ სულ უფრო მეტად იზრდება ტრენინგსა და პრაქტიკაში მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემის დანერგვის აუცილებლობა. ბუნებრივია, რომ ამ საკითხებზე კამათი და დისკუსიები იქნება, რაც ჯანსაღ გარემოში უნდა წახალისდეს. ამ პუბლიკაციაში განმარტებული კომპეტენციების ხაზგასმით DECET და ISSA ქსელებმა უდიდესი საქმე გააკეთეს და სტიმული მისცეს და წარუძღვნენ დიალოგს.

გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებას ყველას, ვინც ამ დოკუმენტს თავის საქმიანობაში გამოიყენებს.

კეტრინ ო'რიორდანი,
ბავშვებზე ზრუნვის პროფესიონალთა ასოციაცია (ირლანდია)

შესავალი

თანასწორობა და მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემა ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროში

ყველა ბავშვსა და უფროსს უფლება აქვს განვითარდეს ისეთ თანასწორ გარემოში, სადაც მრავალფეროვნებას პატივისცემით ეპყრობიან. ბავშვებს, უფროსებს და პედაგოგებს უფლება აქვთ, ადრეულ ასაკში განათლების დარგში ისეთი მაღალი ხარისხის მომსახურებით ისარგებლონ, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი სახის აშკარა და ფარული, ინდივიდუალური და სტრუქტურული დისკრიმინაციისგან რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნების, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, შეზღუდული უნარების, დაბადების და სხვა სტატუსის მიხედვით (მუხლი 2, გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989).

DECET და ISSA ქსელების მუშაობა გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის დებულებებს ეყრდნობა. ორივე ქსელი ადრეულ ასაკში ისეთი ხარისხიანი მომსახურების ადვოკატირებას ეწევა, რომელიც თითოეული ბავშვის განსაკუთრებულობის და თანასწორი უფლებების აღიარებას და პატივისცემას ითვალისწინებს. ამ ბუკლეტის მიზანია ხაზი გაუსვას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მრავალფეროვნების და თანასწორობის პრინციპების აღიარება და დაცვა ადრეულ ასაკში, განათლებისა და ზრუნვის სფეროს მუშაკების მიერ. DECET-ს და ISSA-ს კარგად აქვთ გაცნობიერებული მრავალფეროვნებისა და თანასწორობის უმაღლესი სტანდარტების მიღწევის გზაზე არსებული სიძნელეები.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საკითხზე ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროს მუშაკების ცოდნის და კვალიფიკაციის დონეები განსხვავებულია, DECET-მ და ISSA-მ მათ არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების შესახებ სპეციალური კითხვარის შევსება და გამოკითხვაში მონაწილეობა სთხოვათ. ჩვენ გამოვიკვლიეთ, თუ რა არის მათი აზრით მნიშვნელოვანი მრავალფეროვანი თემების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პატივისცემის, ზრუნვის, სიყვარულის და სოლიდარობის პირობებში და დისკრიმინაციისა და უთანასწორობის დაძლევის გზით. აგრეთვე გამოვიკვლიეთ, თუ რას მიიჩნევენ ისინი მნიშვნელოვნად თავის პრაქტიკაში. ჩვენი ამოცანა იყო შეგვეკრიბა ინფორმაცია პრაქტიკოსი სპეციალისტების მიერ დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების შესახებ, საერთაშორისო მასშტაბით, და ამგვარად წარმოგვეჩინა ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროში მრავალფეროვნებასთან და თანასწორობასთან დაკავშირებული სირთულეებიც და შესაძლებლობებიც. თუ ქვეყნებს შორის არსებულ საზღვრებს გავცდებით და ერთმანეთის ცოდნას გავიზიარებთ, ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის პროვაიდერები ამ დარგის გაუმჯობესებას შეძლებენ როგორც ევროპაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

რას ვგულისხმობთ ტერმინში „კომპეტენცია“?

სხვადასხვა ენებსა და კონტექსტებში სიტყვებს განსხვავებული მნიშვნელობა და დეფინიცია აქვთ. ისეთი ცნებები, როგორიცაა მაგალითად, *„მრავალფეროვნება“, „თანასწორობა“, „კრიტიკული აზროვნება“,* კომპლექსურია. ამ ბუკლეტში აღნიშნულ ტერმინებს

განვსაზღვრავთ, განსაკუთრებულ ყურადღებას კი გავამახვილებთ ტერმინზე „*კომპეტენცია*“. ამ დოკუმენტში სიტყვა „კომპეტენცია“ პროფესიული თვისებების გამოვლენის უნარს ნიშნავს (იხ. ტერმინების განმარტებები, გვ. 32).

ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის ხარისხი დამოკიდებულია ისეთივე პრაქტიკოსი სპეციალისტების კომპეტენტურობაზე, რომლებმაც ამ ბუკლეტის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა. სიტყვა „კომპეტენციას“ ძალიან ხშირად ცალკეული პრაქტიკოსი სპეციალისტების ისეთ თვისებებს ვუკავშირებთ, რომელთა შეძენაც ტრენინგისა და პროფესიული სწავლების გზით შესაძლებელია. ამ ცნებასთან დაკავშირებული სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალიან ვიწროა. განსაკუთრებით ინგლისურ ენაში, სადაც ტერმინის, „კომპეტენტურობა“, (მხოლოდ ადამიანების მიმართ გამოყენებული ზედსართავი სახელი) მნიშვნელობა ხშირად „კომპეტენციების“ ვიწრო მნიშვნელობამდე დაიყვანება, ანუ იმ უნარებს და ცოდნას ნიშნავს, რომელიც ადამიანს კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად მოეთხოვება. ამ ბუკლეტში ტერმინი „კომპეტენცია“ ჩვენ გაცილებით უფრო ფართო, სისტემური მნიშვნელობით გამოვიყენეთ. ის მოიცავს როგორც ცალკეულ პირებს და ჯგუფებს, ასევე დაწესებულებებს, სადაც ისინი მუშაობენ და პედაგოგიურ და პოლიტიკურ დამხმარე სისტემებს. ინდივიდუალური პრაქტიკოსი სპეციალისტის დონეზე „კომპეტენტურობა“ ან „კომპეტენტურობის შეძენა“ უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს *პროფესიული* ცოდნის გაღრმავებას და მის განვრცობაში საკუთარი წვლილის შეტანას, პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების შეძენას და პროფესიული *დამოკიდებულების* შემუშავებას.

ამ სამუშაო ჯგუფშიც, დისკუსიების დაწყებისთანავე, „კომპეტენციას“ განვიხილავდით არა მხოლოდ ინდივიდუალური პრაქტიკოსი სპეციალისტების მნიშვნელობით, არამედ უფრო ფართო, სისტემური თვალსაზრისით. ეს მიდგომა ეყრდნობა 2011 წელს ჩატარებულ CORE კვლევას (ადრეულ ასაკში განათლებასა და ზრუნვაში საჭირო კომპეტენციები), რომელმაც აჩვენა, რომ ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის დარგის სამუშაო ძალას და არსებული პრაქტიკის ხარისხს ბევრი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორისაა სისტემის ყველა დონეზე მომუშავე ცალკეული სპეციალისტების (პრაქტიკოსი სპეციალისტების, მენეჯერების, ტრენერების, პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების...) კომპეტენტურობა და მთელი რიგი სისტემური კრიტერიუმები.

ასეთ ფაქტორებს შორისაა მაგალითად, კარგი სამუშაო პირობები - რომელიც ამცირებს კადრების გადინებას, უწყვეტი პედაგოგიური მხარდაჭერა - საკუთარი პრაქტიკის დოკუმენტირებისა და კრიტიკული ანალიზისთვის, და სწავლების პროცესში თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა. იმის მიუხედავად, რომ პრაქტიკოსი სპეციალისტების ცოდნა და პრაქტიკული უნარები მნიშვნელოვანია, მათ ასევე სჭირდებათ ჰქონდეთ ანალიზის უნარიც, რადგან უაღრესად რთულ, არაპროგნოზირებად და მრავალფეროვან გარემოში მუშაობენ.

CORE-ის მიერ გაკეთებული ერთ-ერთი მთავარი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის კონტექსტში „კომპეტენცია“ ადრეული განვითარების მთელი სისტემის დამახასიათებელ თვისებად უნდა მოვიაზროთ. „კომპეტენტური სისტემა“ პიროვნებების, გუნდების, ინსტიტუტებისა და უფრო ფართო სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში ჩამოყალიბებული ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე ყალიბდება. „კომპეტენტური სისტემისთვის“ აუცილებელია, რომ *ყველა* თანამშრომელს ერთობლივი სწავლისა და კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობა ჰქონდეს. ეს გულისხმობს სწავლისა

და კრიტიკული აზროვნებისთვის საკმარის დროსაც, რომლისთვისაც თანამშრომელი ანაზღაურებას იღებს.

ამ ბუკლეტში, ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის პროფესიულ პრაქტიკაში, მრავალფეროვნების გათვალისწინებისა და თანასწორობის უზრუნველყოფისთვის საჭირო საკვანძო კომპეტენციები და მათი პრაქტიკული განხორციელების უფრო დეტალური კრიტერიუმები აღვწერეთ, ჩვენი მოსაზრებების საილუსტრაციოდ კი, პრაქტიკოსი სპეციალისტების გამონათქვამების ციტირება მოვახდინეთ.

გვჭირდება თუ არა სპეციალური ცოდნა და კომპეტენციები, რომ მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპებით ვიმუშაოთ?

პრაქტიკოსი სპეციალისტები ზოგჯერ მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებს რელევანტურად მხოლოდ მაშინ მიიჩნევენ, როდესაც საქმე ახალ თემებთან და კულტურულ ჯგუფებთან მუშაობას ეხება. ამ ბუკლეტში დავინახავთ, რომ მრავალფეროვნება და თანასწორობა რელევანტურია საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების გამო, რაც მოსახლეობის როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობების ჯგუფებს ახასიათებს და ინდივიდუალურ და ჯგუფურ იდენტობას უშუალოდ უკავშირდება.

როდესაც პრაქტიკოსი სპეციალისტები განსხვავებული კულტურის, წარმომავლობის და შესაძლებლობების ბავშვებთან და მშობლებთან მუშაობას იწყებენ, მათ შეიძლება დაბნეულობა, კულტურული შოკი და დისკომფორტი განიცადონ. შეიძლება მოეჩვენოთ, რომ სათანადოდ მომზადებულნი არ არიან და მოცემულ სიტუაციაში საჭირო სპეციფიკური ცოდნა, უნარები და კომპეტენციები არ გააჩნიათ. ან შეიძლება იფიქრონ, რომ ახალი უნარები და კომპეტენციები საერთოდ არ სჭირდებათ. ისინი „ყველა ადამიანს ერთნაირად უდგებიან“ და ადამიანები ამას უბრალოდ უნდა შეეგუონ. ყოველდღიურ პრაქტიკაში ამ ორივე ტიპის სიტუაციებს ვაწყდებით. ერთსა და იმავე მომსახურების სფეროში ან დაწესებულებაში მომუშავე პრაქტიკოს სპეციალისტებს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეთ მრავალფეროვნების გათვალისწინებასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე.

მაგალითები:

- როდესაც „დღის ცენტრი“ დამატებითი საჭიროებების მქონე ბავშვს და მის მშობლებს პირველად იღებს, პრაქტიკოსი სპეციალისტები ხშირად მიიჩნევენ, რომ ამ ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მათ სპეციფიკური სამედიცინო ცოდნა და უნარები სჭირდებათ;
- თუ სკოლამდელ დაწესებულებას სურს ჩაატაროს ტრენინგი კულტურათაშორის თემებზე, შეიძლება იფიქრონ, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისწავლონ ახალი კულტურების და იმ საკითხების შესახებ, რომლებიც აღნიშნულ კულტურასთან ან რელიგიასთან დაკავშირებით (მაგალითად, როგორიცაა „ისლამი“) სირთულეებად ითვლება. ან შეიძლება გადაწყვიტოს, რომ კულტურათაშორისი ტრენინგი კონცენტრირებული უნდა იყოს იმაზე, თუ როგორ უნდა მოერგონ საზოგადოებას ბოშების, ან სხვა მოხეტიალე თემები. მან შეიძლება მიიჩნიოს, რომ გრძელვადიან პერიოდში ეს ბოშებისა და მოხეტიალე თემებისთვის საუკეთესო ვარიანტია.
- ზოგიერთმა პრაქტიკოსმა სპეციალისტმა შეიძლება ჩათვალოს, რომ გენდერულ საკითხზე მუშაობა უფრო მასშტაბური საზოგადოებრივი ამოცანაა და სკოლამდელი

დაწესებულება ამ პრობლემის წინაშე უძლურია, რადგანაც მშობლებს ასეთ საკითხებზე თავისი შეხედულებები აქვთ (თუ ბიჭი თამაშის დროს კაბას ჩაიცვამს, ზოგიერთი ოჯახისთვის ეს შეიძლება მიუღებელი იყოს).

ეს მაგალითები ბადებენ კითხვას: საჭიროა თუ არა, რომ პროფესიული განვითარების ფარგლებში პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა მრავალფეროვნებისა და თანასწორობის შესახებ სპეციფიკური ცოდნა, უნარები და კომპეტენციები შეიძინონ. ცნობილია, რომ ასეთ ცოდნას ხშირად კონკრეტული საკითხის „ექსპერტთა“ და „სპეციალისტთა“ სფეროდ მიიჩნევენ. ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი სპეციალისტები ხშირად მიიჩნევენ, რომ მათ სათანადო ცოდნა არ გააჩნიათ და სპეციალისტის ჩარევა სჭირდებათ. სინამდვილეში, ამ სამსახურებს მრავალფეროვან საკითხებთან, ოჯახებთან და თემებთან ყოველდღიური შეხება აქვთ; ამის გამო ვფიქრობთ, რომ გარე ექსპერტებისთვის პასუხისმგებლობის გადაცემის ან საკითხის უბრალო იგნორირების ნაცვლად, მათი კომპეტენციის გამოყენება სრულიად შესაძლებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროში მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით პრაქტიკოსი სპეციალისტები შეიძლება დაიბნენ ან თავი დაუცველად იგრძნონ, შევეცადეთ გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტების აზრი გაგვერკვია. სჯერათ თუ არა მათ, რომ სპეციფიკური ცოდნა და კომპეტენციები აუცილებელია მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის კონტექსტში სამუშაოდ? ქვემოთ მოცემულია მათი შეხედულებები.

როგორია პრაქტიკოსი სპეციალისტების აზრი?

ინტერვიუებისა და კითხვარების გამოყენებით მრავალფეროვნებისა და თანასწორობის შესახებ პრაქტიკოსი სპეციალისტების მოსაზრებები და შეხედულებები შევაგროვეთ. აღმოჩნდა, რომ მათ ესმით კომპეტენციების მნიშვნელობა, რომლებიც ზოგადად ყველა ბავშვსა და ოჯახს სჭირდება და საუკეთესო პრაქტიკას შეესაბამება. თუმცა ამავე დროს საუბრობენ სპეციფიკური ცოდნის საჭიროებაზე, რომელიც თავად მათ და არა მხოლოდ „ექსპერტებს“ უნდა გააჩნდეს.

ის პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებსაც ველაპარაკეთ, სხვადასხვა ქვეყნებში, განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში მუშაობენ და შრომის სხვადასხვა პირობები აქვთ. ამ განსხვავებული გარემოებების, კვალიფიკაციის, განათლების და იდენტობის მიუხედავად, ყველა მათგანმა ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნდამენტური კომპეტენციები დაასახელა, რომლებიც მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის მომსახურების პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ:

- საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნების აღიარების სურვილი და პატივისვემა განსხვავებულობის მიმართ;
- სხვა ადამიანების განუსჯელობა;
- მიუკერძოებლობა;
- სხვის ადგილზე თავის დაყენების უნარი და გაგება;
- მოქნილობა და ადაპტაცია;

- თანაგრძნობა (ბავშვებისა და მშობლების საჭიროებების გაგება) და რეაგირება (შესაბამისი მოქმედება);
- საზოგადოების ნაწილად თავის აღქმის გრძნობის ხელშეწყობა;
- ენთუზიაზმი: ჩართულობა და მოტივაცია;
- შემოქმედებითი მიდგომა ალტერნატიული გადაწყვეტის და მიდგომის მოსაძებნად;
- სითბოს და სიყვარულის გამოვლენა.

ეს კომპეტენციები მაღალი ხარისხის პრაქტიკისა და პროფესიონალიზმის ბაზას და წინაპირობას წარმოადგენენ. უდავოა, რომ უაღრესად დივერსიფიცირებულ კონტექსტში სამუშაოდ თბილ და თანამგრძნობ პროფესიულ დამოკიდებულებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამის მიუხედავად, ისმის კითხვა: შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ თანაგრძნობა სპეციფიკური ცოდნისა და უნარების შეძენაზე უფრო მნიშვნელოვანია? ის პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებსაც ვესაუბრეთ, კონცეპტუალურ თვისებებსა და დამოკიდებულებას მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე პრაქტიკულ უნარებს. ეს მნიშვნელოვანი აქცენტია, რომელსაც *თავისთავად ცხადად ვერ მივიჩნევთ.* მეორე მხრივ, ამაში შეიძლება უფრო მეტი მინიშნებაც იყოს: ის ფაქტი, რომ პრაქტიკოსი სპეციალისტები აღნიშნულ თვისებებს არაერთხელ აღნიშნავენ, მოწმობს, რომ ყველა გამოცდილი პროფესიონალისთვის ეს მუდმივ გამოწვევას წარმოადგენს.

ზემოხსენებულმა გამოწვევამ ამ ბუკლეტის შემუშავების პროცესშიც იჩინა თავი. ჩვენ პრაქტიკოსი სპეციალისტების შეხედულებები მოვაგროვეთ, გამოვლენილი ფაქტები სამუშაო ჯგუფში განვიხილეთ, ადრეულ ასაკში ზრუნვისა და განათლების სერვისებში არსებული პროფესიონალიზმის დონის შესახებ გაკეთებული კვლევებით ვისარგებლეთ[1] და DECET და ISSA ჩარჩოები გამოვიყენეთ. ხშირად ვკამათობდით იმავე დილემაზე, რომელიც პრაქტიკოსი სპეციალისტების წინაშე იდგა: ვის უნდა ჰქონდეს მრავალფეროვან გარემოში მუშაობის დროს თანასწორობის დასაცავად საჭირო კომპეტენციები - ზოგადად პერსონალს თუ კონკრეტულ სპეციალისტებს? რა უფრო მნიშვნელოვანია - თანამგრძნობი, დაინტერესებული, პატივისცემით განმსჭვალული და ზოგადად *პროფესიონალური დამოკიდებულება,* თუ *სპეციალისტის ცოდნა?* ჩვენს კვლევაში მონაწილე პრაქტიკოსი სპეციალისტების მტკიცე რწმენით ამ ორივე თვისების კომბინაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამაში ჩვენც ვეთანხმებით.

რისკენ ისწრაფვიან DECET და ISSA?

---

[1] Moss, P. (2008). The democratic and reflective professional: rethinking and reforming the early years workforce. In L. Miller & C. Cable (Eds.), Professionalism in the Early Years (pp. 121-130). Hodder: Arnold.

Urban, M. (2008). Dealing with uncertainty: challenges and possibilities for the early childhood profession. European Early Childhood Education Research Journal, 16(2), 135-152.

Peeters, J. & Vandenbroeck, M. (2011). Child care practitioners and the process of professionalization. In L. Miller & C. Cable (Eds.), Professionalization and Management in the Early Years (pp.62-74). London.

DECET ქსელი ახდენს ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის ისეთი მომსახურებებისა და თემების ადვოკატირებას, რომლებშიც ყველას შესაძლებლობა აქვს:

- თავი საზოგადოების/სისტემის ნაწილად იგრძნოს;
- თავისი იდენტობის განსხვავებული ასპექტები განავითაროს;
- სხვებისგან ისწავლოს, კულტურული და სხვა განმასხვავებელი ფაქტორების მიუხედავად;
- საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს;
- აქტიურად დაძლიოს მიკერძოებულობა ღია კომუნიკაციისა და პიროვნული ზრდის მონდომებულობის მეშვეობით;
- სხვებთან ერთად იმუშაოს ცრურწმენების, სუბიექტური დამოკიდებულების და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ISSA ქსელი დახმარებას უწევს პროფესიულ წრეებს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს და დაეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს:

- დაბადებიდან დაწყებითი სკოლის დამთავრებამდე (10 წლის ასაკამდე) პერიოდში ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი ზრუნვისა და განათლების მომსახურების უზრუნველყოფაში, რომლის დროსაც მთავარი აქცენტი უღარიბეს და ყველაზე მოწყვლად სეგმენტზე გაკეთდება;
- ბავშვების განვითარებასა და სწავლაში ოჯახისა და თემის მონაწილეობის ზრდის უზრუნველყოფაში;
- სოციალური ინკლუზიის და მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემის უზრუნველყოფაში.

იმის მიუხედავად, რომ ამ დოკუმენტში წარმოდგენილი კომპეტენციები DECET-ს და ISSA-ს ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავდა, მათში გათვალისწინებულია პრაქტიკოსი სპეციალისტების მოსაზრებებიც იმის თაობაზე, თუ რა არის მნიშვნელოვანი პრაქტიკული მუშაობის დროს, მრავალფეროვნების და თანასწორობის თვალსაზრისით.

როგორ ვისარგებლოთ ამ დოკუმენტით?

ეს ბუკლეტი მკითხველს არ სთავაზობს იმ კომპეტენციების სტანდარტულ სიას, რომლებიც მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის კონტექსტში სამუშაოდ პრაქტიკოს სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ. ამის ნაცვლად, ჩვენ გვსურს ეს ბუკლეტი დისკუსიისთვის და კრიტიკული ანალიზისთვის ღია, დინამიური დოკუმენტის სახით წარმოგიდგინოთ. გთხოვთ გამოიყენოთ იგი როგორც საინტერესო საკითხების წამოწევის, იდეებისა და კომპეტენციების კვლევის, პირადი გამოცდილების გაზიარების და კარგი პრაქტიკის მაგალითების შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო.

ამ ბუკლეტის გამოყენება შესაძლებელია შემდეგი მიზნებისთვის:

- დღის ცენტრში, საოჯახო დღის ცენტრში, კლასგარეშე ცენტრში ან სკოლამდელ დაწესებულებაში თქვენს გუნდში დისკუსიის სტიმულირების მიზნით;
- მუშაობის დაწყებამდე და სამუშაო ადგილებზე ტრენინგის პროცესში, რომ სტუდენტებმა და პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა კრიტიკულად გააანალიზონ თავისი

როლი მრავალფეროვნებისა და თანასწორობის კუთხით. მას შეუძლია საგანმანათლებლო დაწესებულებებს სასწავლო გეგმების შემუშავებაში დაეხმაროს.

- პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების, მეცნიერების, პრაქტიკოსი სპეციალისტების და მშობლების ინფორმირება, თუ როგორ შეიძლება ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სექტორში მუშაობა მრავალფეროვნების და თანასწორობის პრინციპების დაცვით. ის ასევე მნიშვნელოვანია განათლებისა და სოციალური ზრუნვის სფეროში.
- პრაქტიკოსი სპეციალისტების, პედაგოგების და მასწავლებლების შთაგონების წყარო.

ბუკლეტი ეყრდნობა DECET პრინციპებს და ISSA მისიას. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილეთ ბუკლეტი: DECET, *'Making Sense of Good Practice'* (www.decet.org/makingsenseofgoodpractice) და ISSA-ს დოკუმენტი: *'Competent Educators of the 21st Century: ISSA Principles of Quality Pedagogy'.* (www.issa.nl/resources*)*

კომპეტენციები

კომპეტენცია N 1

მუშაობა სოციალური ცვლილებების მისაღწევად

პრაქტიკოს სპეციალისტებს:

- ესმით, რომ მცირეწლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილი მომსახურებები თავისი არსით უფრო ფართო საზოგადოებას უკავშირდება. ამ მომსახურების დროს წარმოშობილი ურთიერთქმედება და ურთიერთკავშირები ასახავს იმას, რაც უფრო ფართო თემში ხდება;
- ესმით, რომ საზოგადოება მუდმივად ვითარდება. ბავშვები, მშობლები და თანამშრომლები, ისევე როგორც მცირეწლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილი მომსახურებები, მათი საზოგადოების და ადგილობრივი თემის პროდუქტები არიან. ამის გამო პრაქტიკოსი სპეციალისტები სტატიკურნი და მიღწეულით კმაყოფილნი ვერ იქნებიან. ისინი მუდამ ფხიზლად უნდა იყვნენ და საკუთარ პრაქტიკას მუდმივად ცვალებად გარემოს არგებდნენ. ეს პროცესი უწყვეტია და არასდროს მთავრდება;
- ესმით, რომ ზოგიერთ ბავშვს, მშობელს და კოლეგას მათ საზოგადოებაში ხმა არ აქვს და დისკრიმინაციას განიცდის. მცირეწლოვანი ბავშვების მომსახურების სფეროში მომუშავე პროფესიონალები უწყვეტად მუშაობენ ისეთი პირობების შესაქმნელად, სადაც ყველას აქვს უფლება, რომ მას მოუსმინონ, პატივი სცენ, აღიარონ, სოლიდარობა გამოუცხადონ, სათანადო ზრუნვით უზრუნველყონ და საზოგადოების ნაწილად აგრძნობინონ თავი;
- პრობლემა არ აქვთ ექსპერიმენტების ჩატარებასა და ახალი პრაქტიკისა და იდეების დანერგვასთან დაკავშირებით.

„ჩვენი სამუშაოს არსია მოუსვენრობა, გამბედაობა, შემოქმედებითი აზროვნება, დინამიურობა და ცნობისმოყვარეობა ყოველდღიურ პრაქტიკაში. უფრო მეტიც, ჩვენ ვაფასებთ და ვითვისებთ მუშაობის ახალ მეთოდებს.“ (ესპანეთი)

„პედაგოგები მზად არიან ცვლილებებისთვის, ადაპტირებისა და სწავლისთვის, რადგანაც დღის ცენტრის მომსახურებით მოსარგებლეები გამუდმებით იცვლებიან.“ (მექსიკა)

„ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მთელ თემს დაჩაგრულ თემებში მცხოვრები ოჯახების უფლებები და საჭიროებები გავაცნობიერებინო. ძალისხმევის მობილიზება მოვახდინო, ადამიანის უფლებები დავიცვა პრობლემების გადაჭრის მიზნით.

ამავე დროს, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ თითოეული ოჯახის პირად ცხოვრებას და ვიმოქმედოთ მხოლოდ მათი თანხმობით.“ (სერბეთი)

„გამბედაობა უნდა გვეყოს, რომ საკუთარი შეხედულებები და პროფესიული პრაქტიკა კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ. ამ დროს აუცილებელია დავფიქრდეთ, თუ რა როლს ასრულებს დღის ცენტრი საზოგადოების ცხოვრებაში. აგრეთვე აუცილებელია თითოეული ბავშვისა და ოჯახისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემის მნიშვნელობა გვესმოდეს და ამას ჩვენს პრაქტიკაში ვახორციელებდეთ.“ (საფრანგეთი)

„პროფესიონალები, რომლებსაც მრავალფეროვნებასთან აქვთ საქმე, უნდა აცნობიერებდნენ საზოგადოების დომინანტური ჯგუფის ძალას და პრივილეგიას და უმცირესობების წინაშე არსებულ სირთულეებს. უნდა გვესმოდეს, რომ ეს ძლიერ და უშუალო გავლენას ახდენს შესაძლებლობებსა და გამოცდილებაზე.“ (ირლანდია)

„სავალდებულოა, რომ პედაგოგები მუდმივ ძიებაში იყვნენ და სიახლეები შეიტანონ სკოლამდელ აღზრდაში ადგილობრივ საზოგადოებაში.“ (მაროკო)

„თუ ბოშა (მოხეტიალე ოჯახის) ბავშვებთან ვმუშაობ, ვცდილობ გავარკვიო, რას გვთავაზობს მათი კულტურა. კრიტიკულად მნიშვნელოვანია გქონდეს საკუთარი აზრის შეცვლის და ახალი თვალთახედვის მიღების უნარი.“ (ირლანდია)

„ზოგ შემთხვევაში (მაგ.: თუ მშობლები რეგიონის დომინანტური ენისგან განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ), ჩვენ, პროფესიონალები, უნდა დავეხმაროთ მათ იმ მომსახურებების მიღებაში, რომელიც მათ კანონით ეკუთვნით.“ (შოტლანდია)

„ვფიქრობ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, თუ რა ზემოქმედებას ახდენს საზოგადოება მშობლის ცხოვრებაზე; ეს ნიშნავს ვაღიაროთ, რომ სიტუაცია, რომელშიც ზოგიერთი მშობელი აღმოჩნდა, ყოველთვის მის მიერ შექმნილი არ არის. სოციალური ჩართულობა, რომელიც მიზნად არსებული სოციალური სტრუქტურების (მაგ.: დისკრიმინაციის) გარღვევას ისახავს, ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროსთვის აუცილებელ მიდგომას წარმოადგენს.“ (ბელგია)

„საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც ბავშვების ოჯახებზე ზემოქმედებას ახდენენ, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სამსახურის მისიის განსაზღვრისას და გაცნობიერებული იყოს თანამშრომელთა გუნდის მიერ.“ (საფრანგეთი).

კომპეტენცია N 2

ღია კომუნიკაცია და დიალოგი

პრაქტიკოსი სპეციალისტები:

- ავითარებენ და აძლიერებენ თავის პრაქტიკას კომუნიკაციისა და დიალოგის გზით. აღიარებენ რა მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს, ისინი ორმხრივ პროცესში ერთვებიან, რომლის დროსაც ყველას (ბავშვებს, მშობლებს, თანამშრომლებს) აქვს აზრის და გრძნობების გამოხატვის უფლება. ამ დიალოგში პრაქტიკოსი სპეციალისტები კონსტრუქციულები არიან და არ ცდილობენ თავს მოახვიონ სხვებს საკუთარი მოსაზრებები.
- ხელს უწყობენ დიალოგს აქტიური მოსმენით, განუსჯელად; პრაქტიკოსი სპეციალისტები სწორ, სათანადო შეკითხვებს სვამენ და არასასურველი პასუხის მიღებისა არ ეშინიათ;
- ქმნიან უსაფრთხო გარემოს, რომელშიც ყველა თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრს და ხელს უწყობენ ბავშვებისთვის განკუთვნილი მომსახურებების განვითარებას. პრაქტიკოს სპეციალისტებს უსაფრთხო კომუნიკაციის მეშვეობით ნდობის შექმნის აუცილებლობა ესმით.
- იციან, რომ ზოგიერთ ბავშვს და მშობელს საზოგადოებაში თავისი აზრის გამოხატვის საშუალება არ ეძლევა და ამიტომ ორმხრივ დიალოგში იშვიათად მონაწილეობს. პრაქტიკოსი სპეციალისტები შეგნებულად იღებენ თავის თავზე ინიციატივას ამ სეგმენტისთვის აზრის გამოხატვის შესაძლებლობების შესაქმნელად. თავისი კულტურული კონტექსტის გამო ან საზოგადოებაში მიღებული გამოცდილების შედეგად, ზოგიერთი ბავშვი და მშობელი საკუთარი აზრის გამოხატვას მოერიდება;
- ესმით, რომ დიალოგი სიტყვებზე მეტი კომპონენტისგან შედგება და შესაბამისი შესწორებები შეაქვთ თავის არავერბალურ კომუნიკაციაში.

„ვცდილობ კარგი მსმენელი ვიყო და ადამიანების გაგებას საკმარისი დრო დავუთმო. ამისათვის მინდა კომუნიკაციის ახალი გზები ვისწავლო და რამდენიმე ენაზე მოსაუბრე კოლეგებსა და მშობლებს ვთხოვ ბავშვებთან და მშობლებთან კომუნიკაციაში დამეხმარონ.“ (საფრანგეთი)

„ცნობისმოყვარეობა შეიძლება დადებითი თვისება იყოს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. როდესაც ლტოლვილებს პირველად ვხვდები, მირჩევნია „მოცდის“ ტაქტიკა გამოვიყენო. თუ ადამიანებს მათი ისტორიის მოყოლა სურთ, მოყვებიან. ეს ყველა სიტუაციაზე ვრცელდება. უფრო მეტიც, მოქმედება მხოლოდ მშობლების თანხმობით შეიძლება.“ (ბელგია)

„დამატებითი დახმარების საჭიროების მქონე ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოს სპეციალისტებს მშობლებთან და სხვა პრაქტიკოს სპეციალისტებთან მუდმივი დიალოგი

უნდა ჰქონდეთ. ეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების უკეთესი გზების გამონახვის საშუალებას მისცემთ. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ვიფიქროთ ბავშვის უფლებებზე, და არა მხოლოდ მის საჭიროებებზე და გაბედულად ვცადოთ ნაკლოვანი მოდელის შეცვლა. ბავშვის ინტერესების დაცვა რომ შეძლოს, პრაქტიკოსი სპეციალისტი საკუთარ თავში დარწმუნებული უნდა იყოს.“ (ინგლისი).

„სხვადასხვა სოციალური ჯგუფების (კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური) ბავშვების, მშობლების და კოლეგების გასაგებად გახსნილი გონება უნდა გვქონდეს; არ უნდა გვეშინოდეს იმისი, რაც არ გვესმის.“ (სერბეთი)

„თუ გაყრილი მშობლების ბავშვებთან მიწევს მუშაობა, ბავშვის საჭიროებების გასაგებად ორივე მშობელს უნდა დაველაპარაკო. ვიცავ გარკვეულ ბალანსს პირად ურთიერთობასა და გარკვეულ დისტანციას შორის. მეორე მშობლის შესახებ ჭორაობას ან უარყოფითი კომენტარების გაკეთებას ვერიდები.“ (საფრანგეთი)

„ჩვენს გუნდში ხშირად ვმსჯელობთ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან დაკავშირებული სხვადასხვა სიტუაციების შესახებ. განვიხილავთ თითოეული ბავშვისა და ოჯახის საერთო და განმასხვავებელ თვისებებს. მაგალითად რობერტს, რომელსაც ორი დედა ჰყავს, ვურჩიეთ, რომ „დედის დღეზე“ ორი საჩუქარი გაეკეთებინა - თითო საჩუქარი თითო დედისთვის.“ (ნიდერლანდები)

„ვიჩენ ინიციატივას და ვცდილობ მშობლებს მათთვის გასაგებ ენაზე ვეკონტაქტო. თავდაპირველად მშობლებთან კონტაქტის საუკეთესო გზას ვეძებ. ამისათვის შეიძლება ძალიან შემოქმედებითი მიდგომა დამჭირდეს. ასეთ რამეს წიგნებში ვერ წაიკითხავ; უბრალოდ უნდა გააკეთო. არ აქვს მნიშვნელობა თუ საკომუნიკაციო ენა ცუდად იცით.“ (ბელგია)

„ზოგჯერ, მაგალითად ბოშათა ოჯახებს არ უნდათ რომ მათი შვილების ვინაობა სისტემაში დაფიქსირდეს. გარკვეული დრო არის საჭირო, რომ მათი დარწმუნების გზები მოვიფიქროთ და შემდეგ ავუხსნათ, თუ რატომ და რისთვის შეიძლება გამოადგეთ ასეთი აღრიცხვა. ზოგჯერ მათ დარწმუნებას ძალიან დიდი დრო სჭირდება, რადგანაც შიშობენ, რომ ბავშვი დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდება.“ (ირლანდია)

„ჩემი აზრით მნიშვნელოვანია ისეთი სფეროების შექმნა, სადაც მშობლები კეთილგანწყობილებას და უსაფრთხოებას იგრძნობენ. მშობლების ცენტრში მოწვევის, მათთვის ინფორმაციის გაზიარებით და ერთობლივი მუშაობით ორმხრივი დიალოგის სფეროები შეიქმნება.“ (ბელგია)

„ყოველთვის გახსნილები უნდა ვიყოთ და ვეცადოთ გავარკვიოთ, თუ რატომ არ მონაწილეობენ მშობლები მომსახურებაში ან რატომ არ საუბრობენ თავის პრობლემებზე. თუ თქვენ საზოგადოებაში დისკრიმინაციას განიცდით, დომინანტური ჯგუფის ნდობა გაგიჭირდებათ. ნდობის მოპოვება ყველაფერს ნიშნავს; ის საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ, რომ მოწყვლადი ჯგუფის ბავშვს თქვენს სამსახურში საკუთარი ხმა და ადგილი ჰქონდეს.“ (ირლანდია).

კომპეტენცია N 3

კრიტიკული ანალიზი: კომპლექსური საკითხების შესწავლა სხვადასხვა კუთხით

პრაქტიკოსი სპეციალისტები:

- აცნობიერებენ, რომ ყველა ბავშვს, მშობელს და კოლეგას საკუთარი ისტორია და გამოცდილება, ნორმები და ფასეულობები აქვს. ისინი აცნობიერებენ, რომ ოჯახებს განსხვავებული რწმენა, იდეები და მიდგომები აქვთ;
- ესმით, თუ რა ზემოქმედებას ახდენს მათი გამოცდილება, ნორმები და დამოკიდებულებები მათ მიერ მომსახურების მიწოდების გზებზე. ამის გამო, პრაქტიკოს სპეციალისტებს უნარი შესწევთ „კრიტიკულად“ გააანალიზონ (იხ. განმარტებები), თუ როგორ მოქმედებს მათი განათლება, სოციალური წარმომავლობა და შეხედულებები იმაზე, როგორ აღიქვამენ და მუშაობენ სხვადასხვა კულტურის, განათლების და სოციალური მდგომარეობის ადამიანებთან;
- იციან, თუ როგორ დაამყარონ თანაგრძნობაზე აგებული ურთიერთობები ბავშვებთან, მშობლებთან და კოლეგებთან. ისინი საკუთარი ძალებით სწავლობენ, თუ როგორ უნდა გაერკვნენ სხვების გრძნობებში, საჭიროებებსა და შეხედულებებში მაშინაც კი, თუ ისინი მათ ფასეულობებსა და შეხედულებებს ეწინააღმდეგებიან;
- გულწრფელ ინტერესს იჩენენ სხვების მდგომარეობის მიმართ და ამავე დროს პატივს სცემენ პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობას. აქტიურად ცდილობენ სხვების შეხედულებების გაგებას და აანალიზებენ განსხვავებულ შეხედულებებს პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

„როგორც პროფესიონალმა, საკუთარ თავს უნდა დაუსვათ კითხვა ცხოვრების უფრო ღრმა აზრის შესახებ და ამის საფუძველზე გააანალიზოთ ვინ ხართ, როგორც პიროვნება და ვინ არის „სხვა“ პიროვნება.“ (ნიდერლანდები)

„პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის სასარგებლოა ესმოდეთ, თუ რას ნიშნავს თავშესაფრის მაძიებლის და ლტოლვილის სტატუსი ირლანდიაში: ჰქონდეთ თანაგრძნობა ამ ადამიანთა მიმართ და იცოდნენ ახალ კულტურულ და ენობრივ გარემოში მოხვედრილი ოჯახების სტრესები და სიძნელეები. აგრეთვე მნიშვნელოვანია ესმოდეთ, რომ ამ ადამიანებს მათი ნათესავებისგან დიდი მანძილი აშორებთ. ამ შემთხვევაში მათი მუშაობა პატივისცემისა და სოლიდარობის გრძნობით იქნება გამსჭვალული .“ (ირლანდია)

„შერეულ ოჯახებთან მუშაობისას კარგია ვიცოდეთ სამართლებრივი ასპექტები: როგორია მშობლების სტატუსი, კანონიერი მეურვის უფლებები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარგად ვერკვეოდეთ ოჯახის სიტუაციაში.“ (საფრანგეთი)

„ნამდვილად ვიცი, რომ მარტოხელა დედებისთვის სოციალური დახმარების ქსელებით სარგებლობა ხშირად შეზღუდულია. როგორც პრაქტიკოსი, მე ვცდილობ გავარკვიო კონკრეტული მარტოხელა დედების მდგომარეობა და შემდეგ ინფორმაცია და დახმარება შევთავაზო მათ.“ (ბელგია)

„კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ, თუ რატომ ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, თითოეული ბავშვის კეთილდღეობა პირველ პლანზე უნდა დავაყენოთ. ამ პროცესში საკუთარ უნარებს, ცოდნას და პროფესიონალიზმს ვიღრმავებთ და მუშაობის ახალ მეთოდებს ვითვისებთ.“ (საფრანგეთი)

„ჩემი აზრით, მომავალი პროფესიონალების მომზადების დროს ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ წესს: ჩვენ გაცილებით უფრო მეტი არ ვიცით, ვიდრე ვიცით. ჩვენს პროფესიაში შავი და თეთრი არ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ ცნობისმოყვარეობა აუცილებელია. ნაჩქარევად არ უნდა განვსაჯოთ; ნებისმიერი ქმედების დროს ჩვენი განზრახვა და მიღებული შედეგი მნიშვნელოვანია.“ (ნიდერლანდები)

„ვფიქრობ სქესობრივი ორიენტაციის და გენდერის საკითხები კიდევ უფრო რთულდება იმის გამო, რომ ჩვენი დამოკიდებულებისა და ფარული ღირებულებების ანალიზს საკმარის ყურადღებას არ ვუთმობთ; ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თანამშრომლები ამ საკითხების განხილვისას უხერხულობას გრძნობენ. ისინი დისკომფორტს ქმნიან და ჯგუფში მათზე საუბარი ადვილი არ არის, რადგანაც ძალიან პირადულია.“ (ირლანდია)

„ორივე მშობელთან და გუნდთან ღია და საფუძვლიანი კომუნიკაციის დასამყარებლად მე ჩემი მოსაზრებების გამოთქმა ისე ვისწავლე, რომ მათში მოსაუბრის მიმართ პატივისცემა იყოს გამოხატული. ეს ყველაფერზე ვრცელდება, როგორც პოზიტიურ სიტუაციებზე, ასევე რთულ საკითხებზე.“ (ბელგია)

„კარგი, დავუშვათ მე ერთსქესიანი მშობლების არსებობას ვცნობ, მაგრამ ვშიშობ, რომ ჩემი ტრადიციები და აღზრდა ჩემს ქცევაზე იმოქმედებს. აუცილებელია ძალიან ბევრი ვილაპარაკოთ ამის შესახებ გუნდში იმისთვის, რომ ერთმანეთს ჩვენი გრძნობები და სუბიექტური შეხედულებები გავუზიაროთ და გავერკვეთ, თუ რას ვგრძნობთ ჩვენ ყველანი ერთსქესიან მშობლებთან დაკავშირებით.“ (სერბეთი)

„მე წარმოშობით მოწყვლადი ოჯახიდან ვარ. ჯგუფის შეხვედრების დროს ჩემს გამოცდილებას ვიყენებ კოლეგებთან დისკუსიების დასაწყებად იმაზე, თუ როგორ უნდა გადავწყვიტოთ მოწყვლადი ოჯახების ბავშვებთან დაკავშირებული სიტუაციები. მაგალითად, მათ ბავშვის საფენების მოტანა დაავიწყდათ. მე სიტუაციას უფრო ღრმად ვუყურებ და სტიმულს ვაძლევ გუნდის წევრებს, სიტუაციას საფენების მიღმა შეხედონ.“ (ბელგია).

კომპეტენცია N 4

უთანხმოებების შედეგად მიღებული გაკვეთილები

პრაქტიკოს სპეციალისტებს:

- ესმით, რომ უთანხმოებები ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია და ადვილად შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ერთმანეთს სხვადასხვა კულტურული და სოციალური წარმომავლობის ადამიანები ხვდებიან;
- არ უშინდებიან უთანხმოებებს და სიტუაციის კონსტრუქციული გადაწყვეტის უნარი აქვთ, კონფლიქტის პიროვნულ სიბრტყეში გადატანის გარეშე. როდესაც პრაქტიკოსი სპეციალისტები მათთვის უჩვეულო სიტუაციების, ნორმების და ფასეულობების წინაშე აღმოჩნდებიან, ისინი გამოწვევას ხედავენ, მაგრამ უნარი აქვთ იმედგაცრუების და მტრული დამოკიდებულების გარეშე იმოქმედონ. როგორც პროფესიონალები, გაურკვევლობასა და ორაზროვნებას კონსტრუქციულად უმკლავდებიან;
- ესმით, რომ დაპირისპირებისას მართლის და მტყუანის დადგენა მთავარი არ არის. ცდილობენ მოძებნონ საერთო ენა, კომპრომისები და ორმხრივ შეთანხმებული გადაწყვეტილებები;
- ძლიერი ემოციების დროს კოლეგებისთვის გრძნობების გაზიარება და საკუთარ რეაქციაზე საუბარი შეუძლიათ და არ ეშინიათ, რომ მათ გაამტყუნებენ;
- იცნობენ საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებს. საკუთარი თავის მიმართ იუმორი და საკუთარი თვისებების ცოდნა მნიშვნელოვანი თვისებებია ნებისმიერ სამუშაო სიტუაციაში. პრაქტიკოს სპეციალისტებს ესმით, რომ თავის თავს მეტისმეტად სერიოზულად არ უნდა ეკიდებოდნენ;
- იციან, რომ ყველა კითხვაზე პასუხი არ აქვთ;
- უთანხმოებების შედეგად მიღებულ გამოცდილებას მომავალში მუშაობის გასაუმჯობესებლად იყენებენ.

„ბავშვებთან, მშობლებთან და კოლეგებთან კარგი კომუნიკაცია ნიშნავს მოსმენის და დალაპარაკების, სიტყვების სწორად შერჩევის და მოლაპარაკების წარმოების უნარს.“ (მექსიკა)

„მე სხვა ადამიანების აზრს თავიდანვე პატივისცემით ვეკიდები და ვცდილობ, რომ ყველას როლი გათვალისწინებული იყოს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოვუსმინოთ სხვებს და ვიყოთ გახსნილნი სხვისი აზრის მისაღებად, განვიხილოთ წამოჭრილი პრობლემები.“ (ირლანდია)

„ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროში ძირითადად ქალები დომინირებენ. იმისთვის, რომ ასეთ გარემოში მამების და კაცი თანამშრომლების ჩართულობა გავზარდოთ , ისეთი პრაქტიკოსი სპეციალისტები გვჭირდება, რომლებიც მზად არიან იუმორის გრძნობა შეინარჩუნონ. პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც იმდენად სქელკანიანები არიან, რომ საკუთარი წარუმატებლობა წყობიდან არ გამოიყვანთ.“ (შოტლანდია)

„ზოგჯერ ოჯახები ფიქრობენ, რომ მათ სოციალური ან კულტურული წარმომავლობის გამო ჩაგრავენ, თუმცა ეს ასე არ არის. ამან შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს. „მისიის დეკლარაციის“ და პოლიტიკის განვითარების გეგმის შემუშავების დროს მრავალფეროვნების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თქვენს დაწესებულებაში მიღებისას თანასწორობის დაცვის წესები და ა.შ. უზრუნველყოფს, რომ თქვენ შემთხვევით არ დაჩაგრავთ ოჯახს, რომელიც თქვენი მომსახურების მიღებას ცდილობს.“ (ირლანდია)

„განსხვავებულ ოჯახებთან მუშაობის პროცესში ყველაფერი ერთიან პერსპექტივაში უნდა მოვაქციო. ამას სიმტკიცე სჭირდება.“ (ბელგია)

„ზოგჯერ თანამშრომლებს მრავალფეროვნების საკითხებზე საუბარი არ სურთ, რადგანაც პირადი მიკერძოებულობის გამომჟღავნების ეშინიათ. ისინი ფიქრობენ, რომ ამით შეიძლება თავის კარიერას საფრთხე შეუქმნან ან სხვების კრიტიკა დაიმსახურონ.“ (ირლანდია)

„მნიშვნელოვანია ვიფიქროთ და მკაფიოდ გავიაზროთ, თუ რისი ტრანსფორმაცია შეგვიძლია და რისი - არა. ჩემი მიდგომა გულისხმობს ბალანსის დაცვას პირად ჩართულობასა და პროფესიული დისტანციის დაჭერას შორის. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის შევძლებ სიმშვიდის შენარჩუნებას და რისკების შეფასებას მანამ, სანამ ვიმოქმედებდე.“ (ესპანეთი)

კომპეტენცია N 5
ბავშვებთან, მშობლებთან და კოლეგებთან ერთად ახალი პრაქტიკის და ცოდნის ათვისება

პრაქტიკოს სპეციალისტებს:

- აქვთ კვლევის განხორციელების უნარი. ცდილობენ რა, დიალოგის გზით საერთო ენა და კომპრომისები გამონახონ, პრაქტიკოსი სპეციალისტები გამუდმებით ხვეწენ ბავშვებთან, მშობლებთან და კოლეგებთან მუშაობის გზებს. უფრო მეტიც, მათ უკეთ შეუძლიათ შეძენილი ცოდნის გაზიარება.
- ესმით, რომ ცოდნას მხოლოდ წიგნებიდან ვერ მიიღებ; ბავშვებთან, მშობლებთან და კოლეგებთან მუშაობის პროცესში მიღებული ცოდნის და სოციალური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური ლიტერატურის კითხვით ან ტრენინგით მიღებული ცოდნის კომბინირებით მუშაობის ახალი გზების გამონახვა შეუძლიათ;
- სურთ მისცენ ბავშვებს, მშობლებს და კოლეგებს იდეების გამოთქმის შანსი;
- ესმით, რომ დასავლური შეხედულება ადრეულ ასაკში განვითარების საკითხზე, მზარდი გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოში ერთადერთი არ არის;
- აქვთ ბავშვებისგან, მშობლებისგან, კოლეგებისგან და თემისგან სწავლის სურვილი;
- ახალი პრაქტიკის ასათვისებლად სხვების დახმარებას იყენებენ, რათა პროცესის ყველა მონაწილემ დაფასება და პატივისცემა იგრძნოს;
- ახალი ცოდნის შექმნა და პრაქტიკის დახვეწა სოლო ფუნქცია არ არის;
- შეუძლიათ დაძლიონ გაურკვევლობა. სიახლეების ათვისებისას თავს კომფორტულად გრძნობენ, რადგანაც იციან რომ ამ პროცესმა შეიძლება რაიმე ღირებული შედეგი გამოიღოს.

„ვეკითხებით მშობლებს, რა მოფერებითი სახელებით ან მეტსახელებით მიმართავენ შვილს. მაქსიმალურად ვცდილობთ ეს სიტყვები ბავშვის მშობლიურ ენაზე გამოვთქვათ, რომ ჩვენთან ყოფნისას მათთვის ჩვეული ბგერები მოისმინონ . ამასთან ერთად, ვიკვლევთ, რა შეიძლება იყოს ბავშვისთვის ნაცნობი - მაგალითად, მშობლიური ქვეყნის მუსიკა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბავშვმა ახალ გარემოში თავი ბუნებრივად იგრძნოს.“(ბელგია)

„ბავშვებთან და მშობლებთან მუშაობისას ყველაზე მნიშვნელოვანია მახსოვდეს, რომ ყველა კითხვაზე პასუხი არ მაქვს. ვიცი, რომ მშობლებთან და ბავშვებთან მუშაობის ყველაზე მისაღები პრაქტიკა უნდა გამოვიყენო, რომელიც სხვადასხვა შეხედულებების არსებობას ითვალისწინებს.“(ინგლისი).

„ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროში ძირითადად ქალები დომინირებენ. იმისთვის, რომ ასეთ გარემოში მამების და კაცი თანამშრომლების ჩართულობა გავზარდოთ, ძალიან მნიშვნელოვანია მოქნილობა და ალტერნატიული მეთოდების გამოცდა.“ (შოტლანდია)

„როდესაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან ვმუშაობ, მშობლებისგან ძალიან ბევრ ინფორმაციას ვიღებ მათი პიროვნული თვისებების და საჭიროებების შესახებ.“ (ირლანდია)

„ჩემი აზრით, პრაქტიკოსი სპეციალისტები კომპრომისების ძიებას შემოქმედებითად და ენერგიულად უდგებიან. მაგალითად ჩვენ გვყავდა ერთი ბავშვი, რომელსაც მუდმივი დახმარება სჭირდებოდა. პრაქტიკაში ამის გაკეთება ყოველთვის როდია შესაძლებელი. მშობლებთან რამდენიმე საუბრის შემდეგ ჭოჭინის მაგვარი სკამის დაკიდების იდეა გაგვიჩნდა. ამის შემდეგ ბავშვი უსაფრთხოდაც იყო და კომფორტულადაც გრძნობდა თავს.“ (ბელგია)

„მეთოდისტთან („Roma teaching assistant“) გვერდიგვერდ მუშაობის შედეგად ჩემი ჩვეული პრაქტიკა შევცვალე. ყველაზე დიდი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე ან ნაჩქარევი დასკვნების გამოტანამდე ადამიანების მოსმენა და გაგონება დავიწყე. ახლა ვხედავ, რომ ზოგჯერ ჩვენს გარშემო არსებული მნიშვნელოვანი საკითხების დანახვა არ გვსურს.“(სერბეთი)

„მივხვდი, რომ ხშირად ბოშა ბავშვის თვისებებს და ცოდნას სათანადოდ არ ვაფასებდი. მოცემულ გარემოში მას სხვებისგან განსხვავებული გამოცდილება ჰქონდა. შემდეგ ჩვენ „ოჯახის სურათების სტენდი“ გავაკეთეთ და სხვა ბავშვებმა მისი ცხენები დაინახეს. მან ბავშვებს ცხენების სახელები უთხრა და თავისი ცოდნა გაუზიარა. მე გარემო შევცვალე, რომ მას თავისი ინტერესების გამოხატვის საშუალება გასჩენოდა.“(ირლანდია)

„მშობლებთან ინტენსიური თანამშრომლობა ბავშვის მიღებისთანავე იწყება, როდესაც მშობლები გვაცნობენ, თუ როგორ უდგებიან მათი შვილისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. წარსულში მშობლებს მხოლოდ საკუთარ მუშაობას ვაცნობდით, ახლა კი მათ ვეკითხებით: „როგორ გინდათ, რომ თქვენს ბავშვებს მოვუაროთ?“ (ბელგია).

ადგილებზე მომუშავე სპეციალისტების ხმები

ადრეულ ასაკში განათლება და ზრუნვა ერთდროულად რთული და კმაყოფილების მომტანი პროფესიაა. პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა, რომლებმაც ამ ბუკლეტის შემუშავებაში თავისი წვლილი შეიტანეს, წარმოაჩინეს დილემები, გამოწვევები, კმაყოფილება და სიხარული, რომელიც თან ახლავს მათ სამუშაოს ბავშვებისა და მათი ოჯახების მომსახურების პროცესში, მრავალფეროვნების ხელშეწყობის დროს. ინტერვიუების დროს მათ აგრეთვე გაგვიზიარეს მათი ოცნებები და ხედვა.

ჩვენი იმედები და ოცნებები

- ჩვენი ძალისხმევა ყოველთვის ბავშვზე უნდა იყოს კონცენტრირებული;
- ბავშვებთან და მშობლებთან მუშაობა უნდა გვიყვარდეს;
- ჩვენი საქმით ძლიერი გატაცება;
- ცნობისმოყვარეობა და სწავლის ძლიერი სურვილი;
- საზოგადოების ხედვა;
- პრაქტიკოს სპეციალისტებს უნდა ეამაყებოდეთ, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ;
- თანაგრძნობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს;
- სოციალური ჩართულობა მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ძალთა თანაფარდობა;
- აქტივისტობა: მოქმედებისთვის მზადყოფნა;
- დემოკრატიული ცნობიერების განვითარება;
- აზრის გამოთქმის საშუალების მიცემა მათთვის, ვისაც ის არ აქვს;
- ენთუზიაზმი: იდეალისტი;
- როდესაც პროფესიონალებს პატივისცემით ეპყრობიან, ისინი რწმუნდებიან, რომ რაღაცის შეცვლის უნარი შესწევთ.

„როგორც პროფესიონალი, ბავშვებთან ელჩის როლს ვასრულებ და იმედი მაქვს, რომ ყველა პროფესიონალი თავის თავს ამ როლში ხედავს.“ (ნიდერლანდები)

„აუცილებელია ეს საქმე - ბავშვებთან, მშობლებთან და თემთან მუშაობა გიყვარდეს. ხშირად ვფიქრობ ხოლმე იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც ბავშვის ცხოვრებაში ვთამაშობთ და რა სარგებლის მოტანა შეგვიძლია.“ (ბელგია)

„პრაქტიკოს სპეციალისტებს სკოლაში ძალიან ბევრი ცოდნის და უნარის შეძენა შეგვიძლია. და მაინც საკუთარ თავში ამ ყველაფრის ინტეგრირება და რწმენაა საჭირო, რომ ნამდვილი პროფესიონალი გახდე.“ (ბელგია)

„მინდა ჩვენს პროფესიაში ცვლილებები დავინახო. მინდა, რომ მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხები საუნივერსიტეტო კურსებისა და მასწავლებელთა ტრენინგების განუყოფელი ნაწილი გახდეს. ბევრ პრაქტიკოს სპეციალისტს ჯერ კიდევ არ ესმის, რომ ძალა და დისკრიმინაცია უარყოფითად მოქმედებს ბევრი ბავშვის ცხოვრებაზე და რომ ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სფეროში, საზოგადოების განვითარების ხელშესაწყობად, მას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.“ (ირლანდია)

„ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა სწავლის სურვილი არასდროს დაკარგონ.“ (მაროკო)

„იმედია სხვა პროფესიონალებიც მიხვდებიან და აღიარებენ მრავალფეროვნების სიმდიდრეს და ამ გზით ფართო საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების განვითარების შესაძლებლობას დაინახავენ.“ (ესპანეთი)

„ბევრ განსხვავებულ გარემოში მიწევს მუშაობა და მრავალფეროვნება ჩემთვის მისაღებია, ანუ ეს კარი ჩემთვის ღიაა. განსხვავებული ბავშვებისა და ოჯახების მიმართ გახსნილი დამოკიდებულების გარეშე პროგრესს ვერ მიაღწევ.“ (ბელგია)

„ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის პროფესიის მიმართ საზოგადოების პატივისცემა აუცილებლად უნდა გავზარდოთ. საზოგადოებამ ის უნდა ცნოს პროფესიად“” (ესპანეთი)

„მნიშვნელოვანია, რომ პროფესიონალი მოწყვლად ოჯახებთან და თემებთან მუშაობას ენთუზიაზმით ეკიდებოდეს; იყოს იდეალისტი.“ (ნიდერლანდები)

„როგორც პროფესიონალს, მინდა იმ თემის ნაწილი ვიყო, რომელშიც ვმუშაობ. მინდა ჩართული ვიყო მის ცხოვრებაში და მკაფიო ამოცანას ვემსახურებოდე: ხელი შევუწყო და გავაძლიერო პოზიტიური განვითარება, რაც მთელ თემს წაადგება.“ (ესპანეთი)

გამოწვევები

- არ შეგვეშინდეს შეცდომის დაშვების;
- გაბედულად ვითხოვოთ პიროვნული და არა მხოლოდ სტრუქტურული დახმარება;
- ვისწავლოთ ძლიერი, ტრადიციული, დომინანტური ღირებულებების დაძლევა;
- დავიცვათ სწორი პროფესიული ბალანსი ოჯახებთან პირად ურთიერთობასა და პროფესიულ დისტანციას შორის;
- ვისწავლოთ, როგორ შევინარჩუნოთ პროფესიული იდენტობა და ამავე დროს ვცნოთ მშობლების წვლილი;
- შევიმუშაოთ საკუთარი თავის რწმენა და ვირწმუნოთ, რომ შეგვწევს ძალა, ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ შევცვალოთ;
- გავიაზროთ, როდის უნდა ჩავერიოთ, ნაცვლად შეჩერებისა;
- დავძლიოთ უიმედობა, შიში, მარტოობა და სიბრაზე;

- ვისწავლოთ სწორის და არასწორის გარჩევა და გავერკვეთ, რა თვისებები უნდა განვავითაროთ ბავშვებსა და მშობლებში; დაბნეულობა: შერყეული ფასეულობების სისტემა;
- ვიმუშაოთ ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის პოლიტიკის მაღალი სტანდარტების დაცვით და სრული დღიური დატვირთვით;
- აღმოაჩინეთ, თუ როგორ უნდა იყოთ დარწმუნებული და ამავე დროს საკუთარ თავს მუდმივად კითხვებს უსვამდეთ;
- გამოვამჟღავნოთ თანაგრძნობა და არა შეცოდება;
- აღმოვაჩინოთ დისკრიმინაციისა და სუბიექტურობის კონსტრუქციულად დაძლევის გზები;
- დავძლიოთ არასწორი შეკითხვის დასმის შიში, იმის ნაცვლად, რომ საერთოდ არ დავსვათ კითხვები;
- უზრუნველვყოთ თითოეული ბავშვის იდენტობის მხარდაჭერა;
- ეჭვი შევიტანოთ თემის შესახებ ჩვენს მიერ გაკეთებულ ვარაუდებში.

„ნამდვილი პროფესიონალი მშობლებთან ერთად მუშაობს და მშობლების მიერ შვილის განათლების როლში არ ერევა.“ (ესპანეთი)

„ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რომ თავი მარტო არ ვიგრძნო, ანუ სხვა სპეციალისტებისთვის ჩემი მოსაზრებების გაზიარება შემეძლოს, ვმუშაობდე გუნდში და ქსელში.“ (ესპანეთი)

„პედაგოგის პროფესიული ზრდა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მხარდაჭერას იღებს ის დაწესებულებაში, სადაც მუშაობს. იმისთვის, რომ საკუთარი კომპეტენციები განვავითაროთ და პრაქტიკაში გამოვიყენოთ, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება მხარში გვედგას..“ (მექსიკა)

„მოწყვლად ოჯახებთან პროფესიული დისტანციის დაჭერა შეიძლება ძნელი აღმოჩნდეს, მაგრამ უამისოდ ვერ იმუშავებ. ჩვენ არ გვინდა, რომ ჰუმანიტარული მისიის ან მაშველის როლში გამოვიდეთ. გარკვეული სიმკაცრე აუცილებელია.“ (ნიდერლანდები)

„მესმის, რომ ზოგჯერ პრაქტიკოს სპეციალისტებს მშობლების ეშინიათ.“ (ირლანდია)

„ზოგჯერ შეიძლება ბავშვთან განშორება გაგიჭირდეთ იმის გამო, რომ ძალიან იყავით ჩართული მის ცხოვრებაში. (ნიდერლანდები)

„“მშობლისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა (მაგ.: სათამაშოების და ტანსაცმლის შეთავაზება) მისი სიამაყის შელახვის გარეშე შეიძლება ძნელი იყოს.“ (ნიდერლანდები)

„თავდაპირველად, როდესაც ბოშების თემთან მუშაობა დავიწყე, ძალიან ვნერვიულობდი. მახსოვს მუცელში ტკივილს ვგრძნობდი. ამ თემში ბევრი ისეთი რამ ვისწავლე, რამაც ჩემი ძველი შეხედულებები შეარყია. ეს ორმხრივი ურთიერთობა იყო.“ (ირლანდია)

ვიყოთ პროფესიული სისტემის ნაწილი

კითხვარსა და ინტერვიუებში დასახელებული ერთ-ერთი პრინციპი „გუნდში მუშაობას“ ეხებოდა. პროფესიონალიზმი ერთი ადამიანის პასუხისმგებლობით ვერ შემოიფარგლება - ის უფრო ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სპეციალისტს/პროფესიონალთა გუნდს მასტიმულირებელი, ცოდნის შეძენის ხელშემწყობი და პოზიტიური სამუშაო გარემო უნდა ჰქონდეს, რომ მრავალფეროვანი ფუნქციების შესრულებისას პროფესიული ზრდის ძალა და მოტივაცია შესძინოს. ამ ბუკლეტში ჩამოთვლილი კომპეტენციები ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის სისტემის ყველა დონეზე უნდა გაძლიერდეს, მათ შორის:

• ცალკეული სპეციალისტების - პროფესიონალთა გუნდის დონეზე;
• ცენტრის და ადგილობრივი თემის ორგანიზაციაში;
• სამსახურის დაწყებამდე სპეციალისტების მომზადების და მუშაობის პროცესში ტრენინგის სასწავლო გეგმებში;
• პოლიტიკასა და კვლევებში.

„თუწინა პლანზე წამოვწევთ ამოცანას, რომ ბავშვებს სოციალური მრავალფეროვნების შესახებ ვასწავლოთ, ამან შეიძლება უფრო ღრმად დაგვაფიქროს, თუ როგორ იძენენ ბავშვები კულტურული და სოციალური მრავალფეროვნების ცოდნას და რა კავშირია ამ ცოდნას, წინასწარ ჩამოყალიბებულ მიკერძოებულ შეხედულებებს და თანასწორობის უზრუნველსაყოფად ადრეული განათლების სფეროში შესასრულებელ სამუშაოს შორის.“

გლენდა მაკ ნაუტონი

კარგი პრაქტიკის მაგალითები ევროპაში

იხილეთ ქვემოთ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენი კოლეგების მიერ მოწოდებული მაგალითები. მაგალითები წარმოადგენს წარმატებული მეთოდების ნაკრებს, რომლებიც პროექტის საფუძველზე გამოვლენილი 5 კომპეტენციის განვითარებას ემსახურება. აღნიშნული მაგალითები მოიცავს რჩევებს ცალკეული პირებისთვის და ჯგუფებისთვის, აგრეთვე მოსაზრებებს სერვისის, ადგილობრივი თემის მონაწილეობის, მომსახურებამდე და მომსახურების პროცესში ტრენინგის, კვლევის და პოლიტიკის შესახებ. თითოეული მაგალითი კონკრეტული კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტიდან არის აღებული. მიუხედავად ამისა, მათ საფუძველზე შეიძლება გაჩნდეს ახალი იდეები და ამ მაგალითების განხილვისა და ადაპტაციის გზით ინდივიდუალური კონტექსტები გაუმჯობესდეს.

მომსახურების პროცესში

ჰოლანდია – სააგენტო MUTANT-ი

ტრენინგი/კვლევითი პროექტი კრიტიკული ანალიზის საშუალებით ადრეულ ასაკში ბავშვებზე ზრუნვის ორგანიზაციების პროფესიული მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად

„პროფესიულ საზოგადოებაში მდგრადი სწავლის მოდელი“ წარმოადგენს პრაქტიკულ მიდგომას, რომელიც ადრეულ ასაკში ბავშვებზე ზრუნვის სპეციალისტებმა და მათმა ინსტრუქტორებმა ცოტა ხნის წინ შეიმუშავეს საკუთარი ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის „კრიტიკული“ ანალიზისთვის. მოდელი შეიმუშავა სააგენტო MUTANT-მა (2007-2008) ორწლიანი კვლევითი პროექტის ფარგლებში. MUTANT-ი ჰოლანდიური მცირე ზომის დამოუკიდებელი სააგენტოა, რომელიც პროფესიონალებს და დაწესებულებებს ადრეულ ასაკში ბავშვებზე ზრუნვის, კეთილდღეობის და ჯანდაცვის საკითხებში უწევს მხარდაჭერას ინოვაციური მეთოდების, ტრენინგისა და საკონსულტაციო მომსახურების საშუალებით.

პროექტი ყურადღებას ამახვილებს პედაგოგების მიერ მათი საქმიანობის კრიტიკულად განხილვის პროცესზე, აქცენტი გადააქვს ინდივიდუალურიდან კოლექტიური სწავლებისკენ და ადრეულ ასაკში ბავშვებზე ზრუნვაში მონაწილე თითოეული ორგანიზაციის ყველა თანამშრომლის ჩართვის საჭიროებაზე, მათ შორის, მენეჯმენტის და პერსონალის ცენტრალურ დონეზე. ერთობლივად სწავლის რვა მეთოდი ჩამოყალიბდა და შემუშავდა:

1. თვისებების დასახელება: პროფესიონალებისა და მშობლების ძირითადი თვისებების შეფასება, განხილვა და დასახელება.
2. კრიტიკული შეკითხვების დასმა: კრიტიკული ანალიზის დაფასება და კრიტიკული შეკითხვების დასმა.
3. სწავლების პროცესისთვის დღიურის წარმოება: ცალკეულ პირთა და გუნდის სწავლების პროცესის დოკუმენტურად გაფორმება.
4. ფიქრების, გრძნობების და სურვილების განხილვა: ცოდნის სამი წყარო.
5. ბავშვებზე ზრუნვის ცენტრის კონტექსტის განსაზღვრა: კონტექსტუალური აზროვნების წახალისება და მხარდაჭერა/ბავშვებზე ზრუნვის საკუთარი ცენტრის კონტექსტის და ოჯახების კონტექსტის განხილვა/ცოდნა.
6. პირადი გამოწვევის ჩამოყალიბება: პიროვნული და პროფესიული მიზნების ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის (ECEC) ამოცანებთან დაკავშირება.
7. კოლეგასთან თანამშრომლობა: დავალებების შესრულება და კოლეგასთან, როგორც მნიშვნელოვან პროფესიულ პარტნიორთან თანამშრომლობა.
8. კონტაქტი პროფესიულ საზოგადოებასთან: კონკრეტული პრინციპების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავს, როგორ ისურვებდნენ ჯგუფის წევრები ერთმანეთთან კომუნიკაციას.

მეთოდის ძირითადი ელემენტები:

1. სწავლის პროცესის გაუმჯობესება „შიგნიდან“: პროფესიონალების თვისებების, პირადი მოტივაციის, გამოცდილებების და შეგრძნებების შეფასება.
2. თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის განვითარება, სადაც თითოეულ ხმას მნიშვნელობა ენიჭება და უსმენენ.
3. ძიების სურვილის გაჩენის ხელშეწყობა: კრიტიკული შეკითხვების დასმა და გამოცდილებების და მოსაზრებების განხილვა.
4. კონფლიქტების ახალი ცოდნის შეძენის წყაროდ გამოყენება.

გამოცდილება და შედეგები:

სწავლის მეთოდების ერთობლივად შემუშავებამ ტრენინგისა და პრაქტიკის დროს ხელი შეუწყო სწავლების პროცესის გაუმჯობესებას ჯგუფებში, პედაგოგების სამუშაო უფრო სასიამოვნო გახადა, ენთუზიაზმი შემატა და საქმის მიმართ მათი ერთგულება გაზარდა. გაუმჯობესდა კრიტიკული ანალიზის შესაძლებლობა სხვადასხვა დონეზე, ადრეულ ასაკში განათლების და ზრუნვის ორგანიზაციებში.

შემდგომი ინფორმაცია: mail@anadelbarrio.nl
www.mutant.nl

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა/ცენტრალური აზია - საერთაშორისო ასოციაცია ნაბიჯ-ნაბიჯ (ISSA)

ერთად სწავლა, ერთნაირად აღქმის და ურთიერთპატივისცემის გაჩენა - სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლები, სკოლების მასწავლებლები და ბოშების მასწავლებლის ასისტენტები - სერბეთის მაგალითი

ცენტრალურ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში ძალიან ცოტა ბოშა ბავშვს თუ ექნება ოდესმე შესაძლებლობა სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ან სკოლაში საკუთარი კულტურულ-ეთნიკური ან ენობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მასწავლებელი ჰყავდეს. ბოშებს იშვიათად აქვთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის და მით უმეტეს, მასწავლებლებად გახდომის შესაძლებლობა.

ISSA-ს წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ, რათა ეს საკითხი ბოშების მასწავლებლის ასისტენტის (RTA) პოზიციის შექმნის გზით მოაგვარონ. ბოშების მასწავლებლის ასისტენტი განათლების სისტემაში იმუშავებს. ეს არის პირველი, თუმცა არა უკანასკნელი ღონისძიება, რომლის დახმარებით ბოშა ბავშვები და მათი ოჯახები, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მათ თემს შორის არსებული კულტურული და ლინგვისტური სხვაობის აღმოფხვრას შეძლებენ. საზოგადოებაში არსებული ძალთა თანაფარდობის არეკვლის და ბოშებისთვის რეალური ცხოვრების გამოცდილების თავიდან აცილების მიზნით, ბოშების მასწავლებლის ასისტენტის პოზიცია თავიდანვე მიიჩნეოდა, როგორც სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მასწავლებლების და პედაგოგების თანასწორი პარტნიორი განათლების სისტემაში, რაც მასწავლებლის ასისტენტის შესახებ უფრო ტრადიციულ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა.

სერბეთში ინტერაქტიული პედაგოგიკის ცენტრმა (CIP) შეიმუშავა და განახორციელა ტრენინგის მოდელი, რომლის ფარგლებშიც ბოშების მასწავლებლის ასისტენტები და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების/სკოლის მასწავლებლები სოციალური სამართლის საკითხებზე ტრენინგის სესიებს და მენტორებთან შეხვედრებს ერთად ესწრებოდნენ. აღნიშნულმა მიდგომამ უსაფრთხო გარემო უზრუნველყო და ორივე მხარეს მისცა მონაწილეობის, აზრთა თავისუფლად გაცვლის და ბარიერების აღმოფხვრის საშუალება. მონაწილეებს შეეძლოთ პრობლემების დასახელება, საკუთარი მოსაზრებების, და

ბოშა ბავშვებთან, დედებთან და ოჯახებთან დაკავშირებით წუხილის გამოთქმა. თავის მხრივ, ბოშებს დაწესებულებაში მეტად გამოჩენის საშუალება მიეცათ. შედეგად, ბოშათა მასწავლებლების ასისტენტებმა დაიწყეს ძლიერი ალიანსის ჩამოყალიბება ერთმანეთთან და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლის მასწავლებლებთან, რაც ბავშვებისა და მათ ოჯახებისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. ტრენინგის ფარგლებში, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლის მასწავლებლებმა და ბოშათა მასწავლებლების ასისტენტებმა დაიწყეს ფიქრი მათი ღირებულებების სისტემებზე, ორივე მხარეს არსებულ მიკერძოებულ მიდგომაზე და იმის შესახებ, თუ რა ბარიერებს აწყდებიან ერთად მუშაობის დროს. მათ აგრეთვე გაუზიარეს ერთმანეთს პირადი გამოცდილება დისკრიმინაციასა და უსამართლობაზე. დაიწყეს იმ ინსტიტუციური ქცევების კრიტიკულად განხილვა, რომლებიც სისტემებში დისკრიმინაციას ამკვიდრებს. გაერთიანების საშუალებით ორივე მხარის წარმომადგენლებმა შეძლეს პროცესში ღიად ჩართვა და ამით:

• გაუმჯობესდა კულტურათაშორისი კომუნიკაცია სხვადასხვა ჯგუფებს შორის;
• თემებმა შეიძინეს ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ალიანსი ჯგუფებს შორის უსამართლობისა და შევიწროვების წინააღმდეგ საბრძოლველად;
• გაძლიერდა თანაგრძნობის უნარი; ისწავლეს როგორ ისწავლონ ერთმანეთისგან მხოლოდ მოსმენით და გაგებით;
• შემცირდა სტერეოტიპები და წინასწარ ჩანერგილი რწმენები ერთმანეთისა და მათი საკუთარი ჯგუფების შესახებ.

ამ პროექტის საშუალებით მონაწილეებისთვის ცხადი გახდა, რომ ცალკეული ჯგუფები შეიძლება გაერთიანდეს და იმუშაოს ისეთ კითხვებზე პასუხის გასაცემად, როგორიცაა „როგორ ვიმუშაოთ ერთად ბავშვებისთვის ერთობლივი სარგებლის მოსატანად?“

დეტალური ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ზორიკა ტრიკიჩს: cip-zorica@sbb.rs
www. cip.org.rs and www.issa.nl

საფრანგეთი – სამხრეთ–აღმოსავლეთის სოციალური მომსახურების სკოლა (ESSSE) ლიონი

ტრენინგის ინსტრუმენტი: უფროსების და ბავშვების მოსმენა სხვადასხვა სიტუაციაში (Variations for adult and children’s voices).

საზიარო კომპეტენციები სხვადასხვა დისციპლინებში

ეს ფილმი შეიქმნა ESSE–ტრენინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით (ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლება) ერიკ ფერიეს (სოციალური დახმარების სფეროში ფორმირების, კვლევის და ინოვაციის რეგიონული ასოციაცია (Arfrips), ლიონი) ტრენერებთან და სხვადასხვა დისციპლინების წარმომადგენელ პრაქტიკოს სპეციალისტებთან თანამშრომლობით. პროექტი ბერნარდ ვან ლირის ფონდმა დააფინანსა. ფილმი მიზნად

ისახავდა სერვის პროვაიდერებთან დინამიური პროცესების შედეგების ჩვენებას და არა უბრალოდ მეთოდების კატალოგის წარმოდგენას. ფილმში თითოეული სიტუაცია კონკრეტული კომპეტენციის დემონსტრირებას ახდენს, მაგ.:

• ბავშვებთან მისალმების და მათთან დამშვიდობების ყოველდღიური რიტუალი;
• ბავშვის სასწავლო რუტინა: ჭამის, ძილის და თამაშის დრო;
• მშობლებთან შეხვედრა და მათთან ურთიერთობა, როგორც ოფიციალურ ისე არაოფიციალურ გარემოში, ინდივიდუალურად და ჯგუფებში.

ისინი მაყურებელს საშუალებას აძლევს, იფიქროს და კითხვები დასვას საკუთარი პროფესიული პრაქტიკის შესახებ, იმსჯელოს კონკრეტული სიტუაციების საფუძველზე. ფილმში წარმოდგენილია სხვადასხვა სცენარები, რომლებშიც მონაწილეობენ მშობლები, ბავშვები და პროფესიონალები ხუთ სხვადასხვა კონტექსტში: ინტერნატის ტიპის დაწესებულებები, საბავშვო ბაღები, პედიატრიული საავადმყოფოები, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა სერვისები. ფილმს თან ახლავს სახელმძღვანელო ტრენინგის დროს გამოსაყენებლად. ფილმი მიზნად ისახავს იმ მრავალი კომპეტენციის დემონსტრირებას, რომლებიც მშობლებთან, ბავშვებთან და კოლეგებთან სხვადასხვა კონტექსტში სამუშაოდ არის აუცილებელი.

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ: მონი მირიამს (Mony Myriam): Mony@essse.fr

შოტლანდია: კაცები ბავშვებზე ზრუნვის სფეროში

პროექტი მარტოხელა მამებისთვის

შოტლანდიაში ძალიან ცოტა სერვისი ითვალისწინებს საფუძვლიანად, შვილებისგან ცალკე მცხოვრები მამების საჭიროებებს. ერთ–ერთი ასეთი მომსახურების მაგალითია პროექტი მარტოხელა მამებისთვის ანუ ე.წ. „მამების კლუბი“. „მამების კლუბი“ არის მარტოხელა და კონტაქტში მყოფ მამებზე (ე.ი. მამები, რომლებსაც შვილებთან აქვთ კონტაქტი, თუმცა შეზღუდული) ორიენტირებული ჯგუფი. ჯგუფი ჩამოყალიბდა გილმერტონის ბავშვთა და ოჯახის ცენტრის (სირთულეების მქონე ოჯახებიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების ადგილობრივი სახელმწიფო ორგანიზაცია) და შოტლანდიის ერთმშობლიანი ოჯახების მოხალისეთა ორგანიზაციის პარტნიორობის შედეგად. ჯგუფი ათი წელია რაც მუშაობს. მას ძალიან კარგად იცნობენ ედინბურგსა და მის შემოგარენში და ამჟამად რეფერალების საფუძველზე მიმართავენ ადვოკატებისგან, შერიფებისგან, სოციალური მუშაკებისა და ბინაზე მომსახურე ექთნებისგან. გარდა ამისა მათ პირდაპირაც აკითხავენ მამები. „მამების კლუბში“ მუშაობს ადრეულ ასაკში განვითარების სპეციალისტი, რაც კლუბს საშუალებას აძლევს დაეხმაროს როგორც მამებს, ასევე მათ შვილებს. მისი საქმიანობა ცენტრის მიერ იმართება, მუშაობს 3 დღე კვირაში და მის განკარგულებაშია მიკროავტობუსი და მძღოლი ვიზიტების განსახორციელებლად. პროექტი, ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე მამებს, ასევე სხვა მამებს თემში, უფრო ფართო მასშტაბითაც ეხმარება .

ბავშვების და ოჯახების ცენტრი ყურადღებას ძირითადად მოწყვლად ოჯახებზე ამახვილებს. „მამების კლუბი“ მას საშუალებას აძლევს მამების საჭიროებებზე იზრუნოს მთლიანი მომსახურების ფარგლებში. ცენტრი მხარდაჭერას უზრუნველყოფს მთელი რიგი სერვისებისთვისაც, მათ შორის გასაჭირში მყოფ ოჯახებზე ჯგუფურად ზრუნვის სერვისისთვის და თემის მშობელთა ჯგუფებისთვის, მათ შორის ახალგაზრდა დედების ჯგუფებისთვის. მარტოხელა მამების პროექტის ფარგლებში დახმარების მიღება შეუძლიათ როგორც კაცებს, ასევე ქალებს. ბავშვების და ოჯახების ცენტრს, მამების მხარდაჭერის მიზნით, ასევე ჰყავს ადრეულ ასაკში განვითარების სპეციალისტი მამაკაცი პერსონალის წევრები. მამები გვეუბნებიან, რომ ეს ჯგუფი მათ შვილებთან დროის „ხარისხიანად“ გატარების საშუალებას აძლევს, რასაც ისინი უკიდურესად აფასებენ. ეს მათთვის მსგავს სიტუაციებში მყოფ სხვა მამებთან ურთიერთობის და საკითხების სპეციალისტთან განხილვის საშუალებაცაა, რაც მათ ძალიან ეხმარება სიძნელეების გადალახვაში, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე.

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ: Kenny@meninchildcare.com
www.dadclub.org.uk

პროექტები მომსახურების მიწოდებამდე

საფრანგეთი - ESSSE ლიონი

ანალიზის მეთოდი „analyse de pratique“ (პრაქტიკის ანალიზი)

სამხრეთ–აღმოსავლეთის სოციალური მომსახურების სკოლის (ESSSE) ადრეულ ასაკში განათლების დეპარტამენტის ტრენინგის ცენტრი (ლიონი) სტუდენტებისთვის ანალიზის მეთოდის სახით იყენებს ე.წ. „ანალიზის პრაქტიკას“. სკოლა, „კულტურა და განათლების“ მოდულის ფარგლებში მცირეწლოვან ბავშვებზე ზრუნვისას, მრავალფეროვნების საკითხებზე სამუშაოდ მიმართავს პრაქტიკულ ანალიზს. ESSSE-ს ინსტრუქტორები სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების გასაანალიზებლად ინდივიდუალურ და ჯგუფურ განხილვებს მიმართავენ სხვადასხვა რაკურსიდან. ჯგუფში საკუთარი პრაქტიკის ანალიზით და განხილვით სტუდენტები, პროფესიული იდენტობის შეგნებულად განსავითარებლად, ახალ კომპეტენციებს გამოიმუშავებენ. ეს მეთოდი მათ უფრო შემოქმედებითი აზროვნების პროცესში ჩართვისკენ უბიძგებს: „თითოეულ სიტუაციაში აღმოაჩინონ რაღაც განსაკუთრებული“. ეს მოითხოვს თითოეულ მოცემულ სიტუაციაში სტუდენტების შეგნებულად ჩართვას. ეს მეთოდი სტუდენტებს ეხმარება მუდმივად იმსჯელონ ან კრიტიკულად იაზროვნონ მათი ქმედების შესახებ და ამავე დროს შეკითხვები დასვან საკუთარი ღირებულებების შესახებ. ყველა სტუდენტი სტაჟირების დროს იღებს დავალებას, რომელიც მოიცავს პედაგოგიური ან სოციალური პროექტის განხორციელებას პრაქტიკული საკითხის საფუძველზე. ეს მიდგომა სტუდენტებს მათ პირად ვალდებულებასა და პროფესიულ მოთხოვნებს შორის კავშირის დამყარებაში ეხმარება.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ: მონი მირიამს (Mony Myriam):
Mony@essse.fr

ბელგია– პედაგოგიური ინსტიტუტი VSPW, გენტი

„კრიტიკული“ თვითანალიზი ადრეულ ასაკში ზრუნვის საკითხებზე მომსახურებამდე ტრენინგის პროგრამაში

ექვსი წლის წინ პედაგოგიურმა ინსტიტუტმა VSPW (გენტი, ბელგია) სექტორში (დაბადებიდან -3 წლამდე ბავშვები და ბავშვები, რომლებიც სკოლაში არ დადიან) ბავშვებზე ზრუნვის საკითხებზე მომსახურებამდე ტრენინგის პროგრამა განახორციელა. VSPW-ს ძლიერი პედაგოგიური ტრადიცია აქვს. „ვინ ვარ მე, როგორც პედაგოგი?“ - ასეთი ტიპის კითხვები ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებად მიიჩნევა მათთვის, ვინც პედაგოგიურ ან სოციალური დაცვის სფეროში მუშაობს. შესაბამისად „კრიტიკული“ თვითანალიზი უკიდურესად მნიშვნელოვანია პედაგოგის განვითარებისთვის.

ბოლო დროს პროგრამის აქცენტი შეიცვალა. პიროვნული თვისება - თვითანალიზი, ჩაანაცვლა თვითანალიზის უნარმა. ადრე თვითანალიზი პროფესიულ თვისებად მიიჩნეოდა, რომელსაც სტუდენტები ბუნებრივად ფლობდნენ ან დროთა განმავლობაში გამოიმუშავებდნენ. VSPW-ის მოსამზადებელი დონის სტუდენტებთან დღემდე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ კრიტიკული თვითანალიზი, ადრეულ ასაკში განათლების და ზრუნვის (ECEC) საკითხებზე ტრენინგის და განვითარების პროგრამაში აუცილებელი კომპეტენციის სახით უნდა შევიდეს.

მასწავლებლები და სტუდენტები ერთად იწყებენ კრეატიული მეთოდების ძიებას, როგორც თვითანალიზის სწავლის პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთ გზას. კრეატიული მეთოდების შერჩევისას ითვალისწინებენ, რომ თვითანალიზი მხოლოდ ვერბალური უნარი არ არის და მისი სტიმულირება არავერბალური აქტივობებითაც არის შესაძლებელი. ჯგუფებში სტუდენტების სტიმულირება ისეთი მეთოდებით ხდება, როგორიცაა ცეკვა, ვიზუალური კონსტრუქცია, ხატვა, დრამა. შედეგად ისინი საკუთარი ფიქრებისა და ქცევის კვლევას იწყებენ. პირველი ექსპერიმენტები კრეატიული მეთოდებით ძალიან ინტენსიური იყო და დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. სტუდენტებმა დიდი ენთუზიაზმი გამოხატეს აზროვნების ამ ახალ სტილთან დაკავშირებით; რადგან კრეატიული მეთოდების გამოყენების საშუალებით მათი თავდაჯერებულობა იზრდება, ისინი უფრო თავისუფლად იწყებენ საკუთარი აზრების ვერბალურად გამოხატვას. ინსტიტუტმა აგრეთვე შეიმუშავა კომპეტენციების პროფილი (BinK), რომელიც აქცენტს აკეთებს ბავშვებზე, მშობლებზე, გუნდზე, დაწესებულებაზე, ადგილობრივ თემზე და მსოფლიოზე. ყველა ამ განზომილების ერთმანეთთან დაკავშირებით და „მრავალფეროვნებასთან მუშაობის“, როგორც მთავარი უნარის ხაზგასმით, კრიტიკული თვითანალიზი კოლექტიური აქტივობის ნაწილი ხდება და არა მხოლოდ ინდივიდუალური აქტივობა. კომპეტენციების პროფილი (BinK) ყველა მომსახურებამდე ტრენინგის კურსში შედის და შედეგად ტრენერები საკუთარ პროგრამებში კრიტიკულ ანალიზს ადგილს უთმობენ.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ.: www.vspw.be and www.vbjk.be

კვლევა და პოლიტიკა

ბელგია – ფლანდერსის საზოგადოება: VBJK

ბავშვებზე ზრუნვის სოციალური ფუნქცია

მიუხედავად იმისა, რომ ფლანდერსმა უკვე მრავალი წელია, რაც ბარსელონას მიზნობრივ მაჩვენებლებს მიაღწია, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ბავშვებზე მზრუნველობის დაწესებულებების რაოდენობა ძალიან მცირეა (0-3) და მათზე ხელმისაწვდომობა არათანაბარია. ამ კვლევების წყალობით, მთავრობის ხელმძღვანელობასა და დარგის წარმომადგენლებს შორის დიალოგი დაიწყო. ამ დიალოგმა გაამყარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფლანდერსის ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულებები შეიძლება ხელს უწყობდეს არსებული სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას და სიღარიბის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდეს.

სისტემაში არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, პირველი მცდელობის სახით, ფლანდერსის ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა 2004 წლიდან დაეფინანსებინა მცირე და მოქნილი, თემზე დაფუძნებული ბავშვებზე ზრუნვის ცენტრები ღარიბ უბნებში. 2006 წლისთვის ბავშვებზე ზრუნვის 18 ასეთი ცენტრი გაიხსნა. მათ წარმატებით გაართვეს თავი მიზნობრივი მოსახლეობისთვის მომსახურების მიწოდებას და მშობლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას. თუმცა, ვერ მოახერხეს გავლენა მოეხდინათ პროვაიდერების ხელმისაწვდომობის პოლიტიკაზე, როგორც ამას ხელმძღვანელი პირები იმედოვნებდნენ.

რადგან დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ხელმისაწვდომობის პრობლემა ინდივიდუალური პროვაიდერების დონეზე ვერ მოგვარდებოდა, 2007 წელს დაიწყო ექსპერიმენტის განხორციელება 16 პილოტურ რეგიონში. თითოეულ რეგიონში ბავშვებზე ზრუნვის სხვადასხვა დაწესებულებები ერთად მუშაობდნენ, რათა მრავალფეროვნების და ჩართულობის კონტექსტში ერთიანი სოციალური პოლიტიკის და ერთიანი კომპეტენციების პოლიტიკის შესახებ ახალი ცოდნა შეეძინათ. მათ ასევე გამოიკვლიეს უფრო გამჭვირვალე ერთობლივი წვდომის პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობა, რომელიც მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებას ისახავდა მიზნად. ორი წლის შემდეგ, მარგინალიზებული ოჯახებისთვის დაწესებულებების ხელმისაწვდომობაზე სტრუქტურული გავლენა კვლავ ძალიან შეზღუდული იყო.

2009 წელს ფლანდერსმა შემდგომი ნაბიჯები გადადგა სოციალური ჩართულობის გასაუმჯობესებლად. ახალი პოლიტიკის დირექტივა მოითხოვს, რომბავშვებზე ზრუნვის ყველა დაფინანსებულმა ცენტრმა და ზოგმა კერძო ბაღმაც, მათი სიმძლავრის 20%-ი ერთმშობლიან და სიღარიბესა და კრიზისულ სიტუაციაში მცხოვრებ ოჯახებს დაუთმოს. შედეგად, ბავშვებზე მზრუნველობაზე პასუხისმგებელმა სამთავრობო ორგანიზაციამ „ბავშვი და ოჯახი“, მრავალფეროვნებისა და ჩართულობის გასაუმჯობესებლად პროფესიული განვითარების სისტემა შექმნა. სხვადასხვა „ქოლგა“ ორგანიზაციის პედაგოგების კოორდინატორებისთვის სააგენტომ პროფესიული საზოგადოებები (VBJK-ს - ადრეულ ასაკში განათლების და ზრუნვის რესურსების და კვლევის ცენტრის ხელმძღვანელობით) დააარსა. კოორდინატორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესში, რათა მიიღონ ინფორმაცია, თუ როგორ დაეხმარონ ბავშვზე ზრუნვის ცენტრების პროფესიონალებს მათი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში, მრავალფეროვნებისა და სოციალური ჩართულობის თვალსაზრისით.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ: katrien.van.laere@vbjk.be
www. vbjk.be

ინგლისი: აღმოსავლეთ ლონდონის უნივერსიტეტი

პრაქტიკაზე დაფუძნებული მტკიცებულება

კომპეტენციის მიმართ სისტემურ მიდგომას არა მხოლოდ პროფესიული პრაქტიკისთვის მოაქვს შედეგები. იგი კითხვის ნიშნებს სვამს ცოდნის მიღების გაბატონებული გზებისა და თეორიასა და პრაქტიკას შორის იერარქიის შესახებ. გადაწყვეტილებებს უკვე აღარ იღებენ მხოლოდ აკადემიკოსები, რომლებიც მათ მიერ ჩატარებული კვლევების საშუალებით უზრუნველყოფენ მტკიცებულებას იმის შესახებ, თუ „რა მუშაობს“ - რაც მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის გავლენიან კონცეფციას წარმოადგენს. პროფესიული სისტემის ყველა მონაწილეს საკუთარი წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნის შემენაში.

კვლევის განხორციელებას სისტემის მონაწილეებთან ერთად და არა განყენებულად, საკვლევ საკითხებზე, შეუძლია პროფესიულ სისტემაში არსებული ხარვეზები შეავსოს და „მოიცავს განსხვავებას, მრავალფეროვნებას და ადამიანის ცხოვრების არეულობას, და მისი მიზანი არ არის პირველ რიგში პრობლემის „გადაწყვეტა“. (Schwandt 2004).

რა შედეგები აქვს კვლევის და პრაქტიკის ამ ორმხრივ აღქმას? პირველ რიგში უნდა ვაღიაროთ, რომ მტკიცებულება, ე.ი. პროფესიული ცოდნა, მუდმივად გენერირდება პროფესიული სისტემის ყველა მონაწილის მიერ – რაც წინა პლანზე ახალ ფოკუსს წევს - ფოკუსს პრაქტიკოსი სპეციალისტების მცირეწლოვან ბავშვებთან და მათ ოჯახებთან ყოველდღიური ურთიერთობის გამოცდილებაზე. პოლიტიკას შეუძლია ალტერნატიული და უსაფრთხო ჩარჩოს (დაფინანსების, რესურსების, აღიარების თვალსაზრისით) უზრუნველყოფა პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, დოკუმენტურად გასაფორმებლად, პრაქტიკის გასავრცელებლად და თეორიის ჩამოსაყალიბებლად – კონცეფცია, რომელსაც პრაქტიკაზე დაფუძნებულ მტკიცებულებას უწოდებენ (Urban, 2010). წარმატებული მაგალითების კონტექსტები, მიზნები და მიდგომები ერთმანეთისგან განსხვავდება (მაგ.: ინოვაციების ცენტრები ახალ ზელანდიაში, პროექტი *„éist“* ირლანდიაში, პროექტი „the Bildung:elementar“ გერმანიაში).

თუმცა ყველა მათგანისგან სამი მთავარი გზავნილი შეიძლება მივიღოთ:

1. ისინი (მაგალითები) ცალკეული პრაქტიკოსი სპეციალისტით არ შემოიფარგლება; მათში ყურადღება გამახვილებულია პიროვნებებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთობაზე, პრაქტიკოს სპეციალისტებსა და ოჯახებთან ურთიერთობაზე, ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვის გარემოსა და ფართო სოციალურ კონტექსტზე. პროფესიონალიზმი ვითარდება, ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების მთლიანი სისტემის ატრიბუტის სახით.

2. ისინი ხელს უწყობენ კრიტიკული შეკითხვების დასმას და სისტემატურად ქმნიან სივრცეს ამის გასაკეთებლად. აფასებენ ამ კითხვებზე შესაძლო პასუხების სიმრავლესა და მრავალფეროვნებას. განსხვავებული მოსაზრებების საფუძველზე ახალი აღქმები ყალიბდება. ადრეულ ასაკში ბავშვებზე ზრუნვის პრაქტიკა საზოგადოების პოლიტიკური და

კულტურული კონტექსტის ნაწილია და მისი ეკონომიკის და ისტორიის მიერ ყალიბდება. ამ გავლენების შესახებ მნიშვნელოვანი ცოდნის შემენა (შეგნება - როგორც პაოლო ფრეირმა თქვა) პროფესიული სასწავლო გარემოს მთავარი მახასიათებელია; კვლევა და პრაქტიკა ერთმანეთისგან განუყრელი ცნებებია და „ძიების სურვილს“ ბადებს (Urban, 2007).

3. ისინი იმედის ცნებას ეფუძნება. პაოლო ფრეირი (2004) შეგვახსენებს, რომ საგანმანათლებლო პრაქტიკა ამ მიზნით არის და ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს. მაგრამ, რისი მიღწევის იმედი გვაქვს, იმაზე უნდა ვიმსჯელოთ. კვლევა და თეორია ამ მსჯელობის ნაწილია. მათი როლი აღარ შემოიფარგლება იმის შესახებ მტკიცებულების წარმოდგენით, თუ „რა მუშაობს“? ისინი მონაწილეობენ დიალოგში ადრეულ ასაკში ბავშვებზე ზრუნვის პრაქტიკის მნიშვნელობაზე, ღირებულებებზე და მიზნებზე. რისთვის და ვისთვის უნდა იმუშაოს; ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ან ვინ უნდა გამოირიცხოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმის თაობაზე, თუ რა შედეგები უნდა იქნეს მიღებული?

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ: დოქტორ მათიას ურბანს, აღმოსავლეთ ლონდონის უნივერსიტეტი:m.urban@uel.ac.uk

ირლანდია: არასამთავრობო ორგანიზაცია Pavee Point, ადრეულ ასაკში ბავშვების განათლების და ზრუნვის პროცესში თანასწორობის და მრავალფეროვნების მხარდამჭერი ქსელი (EDENN)

ტრენინგი მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებზე ირლანდიაში

ბავშვების და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის აპარატის ადრეულ ასაკში განათლების პოლიტიკის განყოფილება მრავალფეროვნებისა და თანასწორობის ეროვნულ ინიციატივას აფინანსებს (2011). ამ პროექტს ბავშვებზე ზრუნვის კომიტეტი (ClareCounty Childcare Committee) ხელმძღვანელობს და სერვისების მიწოდება საგრაფოებისა და ქალაქების ბავშვებზე ზრუნვის კომიტეტების სტრუქტურების საშუალებით ხდება. ეს არის ფართომასშტაბიანი ინიციატივა, რომლის ფარგლებში ადრეულ ასაკში განათლების და ზრუნვის (ECEC) 160 სერვისისთვის (5 სერვისი თითოეულ საგრაფოში (32 საგრაფო)) ჩატარდება აკრედიტებული ტრენინგი მრავალფეროვნების და თანასწორობის საკითხებზე და მენტორობის სესიები მომსახურების მხარდასაჭერად და საჭირო რესურსების უზრუნველსაყოფად. ეს ინიციატივა *„éist“* პროექტის და ადრეულ ასაკში ბავშვების განათლების და ზრუნვის პროცესში თანასწორობის და მრავალფეროვნების მხარდამჭერი ეროვნული ქსელის - EDENN-ის ფარგლებში ხორციელდება.

არასამთავრობო ორგანიზაციამ Pavee Point, რომელმაც ათ წელზე მეტი ხნის წინ ადრეულ ასაკში განათლების და ზრუნვის პროცესში მრავალფეროვნებასა და თანასწორობაზე ყურადღების გამახვილების საჭიროება აღიარა, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებზე ირლანდიაზე მორგებული ტრენინგის პროგრამა შეიმუშავა - პროექტი *„éist“*. პროექტი პილოტური ვერსიის განხორციელებას და შეფასებას ითვალისწინებდა. ამ

პროცესმა ცოდნაში არსებული უზარმაზარი ხარვეზები გამოავლინა და წარმოაჩინა თვითანალიზის, ასევე დამოკიდებულების შეცვლის და ანტიდისკრიმინაციული სამუშაოს შესრულების რეალური საჭიროება, ასევე მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ბავშვებთან და მშობლებთან ძალიან პრაქტიკული ურთიერთობის საჭიროება. მონაწილეებმა გამოხატეს სურვილი, რომ იმსჯელონ და შეაფასონ საკუთარი პრაქტიკა. კურსის განმავლობაში მათ საკუთარი ინდივიდუალური სწავლის საჭიროებები განსაზღვრეს და ცვლილებების მიმართ მზაობა გამოხატეს.

პროექტის შედეგებმა ბერნარ ვალ ლირის ფონდს და ირლანდიის საგრაფოებისა და ქალაქების ბავშვებზე ზრუნვის კომიტეტებს ტრენერების ტრენინგის ეროვნული პროგრამის განხორციელების მხარდაჭერისკენ უბიძგეს (2006). ტრენერები ინტერვიუს საფუძველზე შეირჩა. ტრენინგის პროგრამა 165 პირდაპირი ტრენინგის საათისგან შედგებოდა. ეს პროგრამა ირლანდიის ეროვნული უნივერსიტეტის Maynooth-ის მიერ არის აკრედიტებული. ეს, ირლანდიის რესპუბლიკაში, უნივერსიტეტის მიერ აკრედიტებული მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებზე პირველი ECEC ტრენინგის პროგრამაა.

ტრენინგის პროგრამა აქცენტს საკუთრივ ტრენერის მიერ გასავლელ ცვლილების გზაზე აკეთებს: როგორ ესმით მათ მრავალფეროვნების და თანასწორობის ცნებები, როგორ ახდენს გავლენას საზოგადოებრივი და ისტორიული კონტექსტი აზროვნებასა და პრაქტიკაზე; მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა და ის, თუ როგორ მოქმედებს საზოგადოებაში წინასწარ ჩანერგილი რწმენები, დისკრიმინაცია, რასიზმი, სექსიზმი და ა.შ.; კრიტიკულ ანალიზში მონაწილეობა პრაქტიკის საკითხებზე და როგორ უნდა მოხდეს პრაქტიკის კონტექსტუალიზაცია თითოეულ ECEC სერვისში. მეთოდი მოიცავს კოლექტიურ და არა ინდივიდუალურ სწავლებას და მხარს უჭერს ჯგუფურ მონაწილეობას, როგორც ტრენინგის პრაქტიკის, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტების მომზადების საშუალებით.

მუშაობდა რა ამ ინიციატივებთან ტანდემში, „éist“ პროექტმა, წარმატებით გაამახვილა ყურადღება მრავალფეროვნებასა და თანასწორობაზე ECEC პოლიტიკის ძირითად დოკუმენტებში - Síolta: ხარისხის ეროვნული ჩარჩო (2006); Aistear: ადრეულ ასაკში ბავშვებზე ზრუნვის სასწავლო გეგმის ჩარჩო (2009) და სახელმძღვანელო რეკომენდაციები მრავალფეროვნებასა და თანასწორობის საკითხებზე ბავშვზე ზრუნვის პროვაიდერებისთვის (2006).

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ: murraycolette@yahoo.co.uk
www.pavee.ie
www. paveepoint.ie/edenn

ტერმინების განმარტება

ისეთი ცნებები, როგორიცაა მრავალფეროვნება, თანასწორობა, კრიტიკული აზროვნება კომპეტენციები, კომპლექსურია და მათი მნიშვნელობა შეიძლება ენებისა და კონტექსტის მიხედვით განსხვავებული იყოს. ამ დოკუმენტისთვის შემდეგ სამუშაო განმარტებებს ვიყენებთ.

მრავალფეროვნება

ტერმინი აღნიშნავს საზოგადოების მრავალფეროვან ბუნებას. მაგალითად, სოციალური, გენდერული განსხვავებები, უნარშეზღუდულობა, ოჯახის სტრუქტურა, ლესბოსელი, ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი (LGBT) ადამიანები, ოჯახის სტატუსი, უმცირესობის წარმომადგენელი ეთნიკური ჯგუფები, მათ შორის ბოშები და მოხეტიალე თემები და უმრავლესობა/დომინანტი ჯგუფი. მრავალფეროვნება აღნიშნავს ადამიანებს შორის არსებულ განსხვავებას და მათი ცხოვრების განსხვავებულ წესს. იგი აღიარებს, რომ განსხვავება ცხოვრების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი და ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება, რომელსაც თქვენ მიეკუთვნებით, სადაც მუშაობთ და ცხოვრობთ, მრავალი განსხვავებული ელემენტისგან შედგება. მრავალფეროვნება არის ის, რაც უნდა აღიაროს, მიიღოს და პატივი სცეს საზოგადოებამ და მისი ბევრი ელემენტი საზეიმოდაც კი აღნიშნოს. მრავალფეროვნებას აქვს „ჩრდილოვანი მხარე“: სტერეოტიპების შექმნა, წინასწარ ჩანერგილი რწმენები, დისკრიმინაცია, რასიზმი, სექსიზმი, კლასიციზმი და ა.შ..

თანასწორობა

აღნიშნავს მრავალფეროვნების აღიარების, მიღების და ამასთან, ინდივიდუალური და ჯგუფის საჭიროებების მხარდაჭერის მნიშვნელობას. თანასწორობა ნიშნავს ყველა ბავშვისა და მათი ოჯახებისთვის ადრეულ ასაკში განათლების და ზრუნვის თანაბრად ხელმისაწვდომობას, პროცესში მონაწილეობას და შედეგების უზრუნველყოფას. მონაწილეობაში თანასწორობის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებთან და მშობლებთან მუშაობისას. თანასწორობა არ ნიშნავს ადამიანების ერთნაირად მოპყრობას, არამედ იმის გაგებას, რომ მათი საჭიროებები სხვადასხვა გზებით დაკმაყოფილდება. თანასწორობა ასევე არ აღნიშნავს პოლიტიკურ კორექტულობას. ეს ნიშნავს ადამიანების ობიექტურად მოპყრობას, დისკრიმინაციის გარეშე, მათთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფას, რათა რეალურ შესაძლებლობებზე მიუწვდებოდეთ ხელი და თვითგანვითარების და შედეგების მიღების შესაძლებლობა მიეცეთ.

კომპეტენცია

ECEC-ს ხარისხი დამოკიდებულია ბავშვებთან მომუშავე ადამიანებზე, ოჯახებსა და საზოგადოებაზე. გვაქვს მოლოდინი, რომ პრაქტიკოსი სპეციალისტები იქნებიან კვალიფიციურები, შესაბამისი უნარების მქონენი და კომპეტენტურნი. ჩვეულებრივ, ტერმინი „კომპეტენტური“ ასოცირდება ცალკეული პრაქტიკოსი სპეციალისტის თვისებებთან, იმ თვისებებთან, რომელიც შეიძლება ტრენინგისა და პროფესიული მომზადების შედეგად შეიძენოს. მაგრამ ეს ინდივიდუალისტური ცნება, ძალიან ვიწრო ცნებაა. „კომპეტენტურობა“ ხშირად იგივდება „კომპეტენციების ქონასთან“ – ე.ი. მთელ რიგ ცალკეულ უნარსა და ცოდნასთან, რომელთა „ფლობაც“ ინდივიდებს კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად მოეთხოვებათ. ამ ბროშურაში ტერმინს „კომპეტენცია“ უფრო ფართო, სისტემური გაგებით ვიყენებთ. იგი მოიცავს ინდივიდებს და ჯგუფებს, დაწესებულებებს, სადაც ისინი მუშაობენ და მათ გარშემო არსებულ პედაგოგიურ და პოლიტიკურ მხარდაჭერის სისტემებს. ინდივიდუალური პრაქტიკოსი სპეციალისტის დონეზე, „კომპეტენტურობა“ ან კომპეტენტური გახდომა უწყვეტი პროცესია და აღნიშნავს პროფესიული ცოდნის დაგროვებას და მის განვითარებაში წვლილის შეტანას, როგორც პრაქტიკული, ისე ანალიზის უნარების შეძენას და პროფესიული მიდგომის ჩამოყალიბებას.

კრიტიკული ანალიზი

კრიტიკული ანალიზი ნიშნავს გამოცდილების ანალიზს, ხელახლა განხილვას და კითხვის ნიშნების დასმას საკითხების ფართო კონტექსტში (მაგ.: მაგალითად სოციალურ სამართალთან, სასწავლო გეგმის განვითარებასთან, სწავლის თეორიებთან, პოლიტიკასთან, კულტურასთან დაკავშირებული საკითხები). ანალიზის უნარის განვითარება შეიძლება თქვენს მიერ პირადად გასავლელ გზად მივიჩნიოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს გზა მაინცდამაინც მარტომ უნდა გაიაროთ. სხვა ადამიანები, მათი ცოდნა, შეკითხვები, იდეები, მნიშვნელოვანია ამ გზაზე მხარდაჭერის მისაღებად და სახელმძღვანელოდ. კრიტიკული ანალიზი აღრმავებს და აფართოებს თქვენი ანალიზის უნარს მთელ რიგ პიროვნულ და პროფესიულ საკითხებზე შეკითხვების დასმის, მნიშვნელობების დაკავშირების და გაანალიზების საშუალებით. კრიტიკული ანალიზის უნარი უმჯობესდება თქვენს გუნდთან ერთად პროფესიული საზოგადოების სწავლის პროცესში მონაწილეობის მიღებით.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ DECET-ის და ISSA-ს ვებგვერდებს:
www.decet.org
www.issa.nl